ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 26 ივნისი, 2019 №149 (8103) ფასი: 60 თეთრი

## ყაზბეგში მუსიკალური ფესტივალი დაარბიეს

გვ.7

## 25 ივნისიდან

ჟიულ ვერნი

**20 000 ლიე წყალქვეშ**

„მე მიყვარს კითხვა“

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

# გაბედავს თუ არა „ოცნება“ ნიკა მელიას დაჭერას

გვ.2

## პროკურატურამ მისთვის დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნა მოითხოვა

გვ.3

## ეკა გიგაური: „ქართული ოცნება“ ცდილობს, კრიზისი გადააგოროს და გახარია არ მოხსნას“

„რუსეთი რბილი ძალით საქართველოს ოკუპაციას ახდენს და ხელისუფლებას რეაქცია არ აქვს“

## სოსო ცინცაძე: „ეს იყო „ოცნების“ ბართლომეს ღამე“

„ნულოვანი ბარიერი ნიშნავს მარგინალი პოლიტიკოსებით დაკომპლექტებულ პარლამენტს“

გვ.5

## „ფულიანი მაჟორიტარები პარტიას ქმნიან“

გვ.4

ლადო სადღობელაშვილი: „ასე მგონია, 2003 წელი მეორდება“

გვ.5

## გიგა ბუკია: „გახარიამ ქვეყანა გადაარჩინა და რატომ უნდა გადადგეს?“

## კახა კუკავა: „20-21 ივნისს ხალხის დაზიანება 90% ნაციონალების ბრალია, 10% — გახარიასი“

გვ.6

**სამართალი**

გვ.7

## ზუგდიდის ყოფილ მერსა და ვიცემერს 2-2 წელი მიესაჯათ

## ავჭალაში ავარიას რუსთაველი მარიამ ყველიაშვილი და მისი 6 წლის შვილი ემსხვერპლნენ

## სისხლიანი დაპირისპირება „ოცნების“ წევრის მონაწილეობით

ბათუმში მერიის ყოფილი თანამშრომელი დაჭრეს

ISSN 1987-9385

**4** მამუკა ტუსკაძე: „ახალი სისტემით, დაახლოებით 7-8 პარტია შევა“

**3** სამადაშვილი: „მსგავსი შემთხვევა ჩვენს ისტორიაში არ ყოფილა, რომ პარლამენტის წევრისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა აღეძრათ“

**6** ლარის გაუფასურება ისტორიულ მაქსიმუმზეა

**7** ნარკოტიკული საშუალების უკანონო გადატანა-გადაზიდვის ბრალდებით სომხეთის მოქალაქეა დაკავებული

# გაბედავს თუ არა „ოცნება“ ნიკა მელიას დაჭერას

## პროკურატურამ მისთვის დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნა მოითხოვა

შორენა მარსაგიშვილი

პოლიტიკურად ცხელი ზაფხული კიდევ უფრო ცხელი ხდება – საგამოძიებო უწყებამ ნიკა მელიას ბრალი წაუყენა და პარლამენტს მისთვის დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნა მოსთხოვა.

ეტყობა, საქართველოს ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს, კრემლს ასიამოვნოს და გავრილოვის ერთ-ერთი მთავარი მაგინებლის თავი გაუგზავნოს – ოფიციალურმა მოსკოვმა ოფიციალურ თბილისს ოფიციალურად მოსთხოვა იმ პირთა დასჯა, რომლებიც გავრილოვის აწიოკებაში მონაწილეობდნენ.

ვიდრე საგამოძიებო უწყება მელიასთვის დეპუტატის მანდატის მოხსნას მოითხოვდა, მას მეოცნებე კოლეგები დაესხნენ თავს. პარლამენტის სხდომათა დარბაზში მას სხვებთან ერთად დეპუტატი შოთა ხაბარელიც გაექაჩა, რომელიც წლების წინ იმით დაიმახსოვრა საქართველოს მოსახლეობამ, რომ ერთი პატარა აქციის გამო სააკაშვილს ბოდიშები უხადა.

მმართველი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა მდინარაძემ ნიკა მელიას ქვეყნის მთავარი უბედურება უწოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მელია უმცირესობაში იყო, მას უპასუხოდ არც ერთი მეოცნებე არ დაუტოვებია. უფრო მეტსაც მოახერხებდა, მაგრამ მანდატურებმა გააკავეს და სხდომათა დარბაზიდან გაიყვანეს.

მთავარი სიურპრიზი მას და ოპოზიციას საღამოსთვის ელოდათ. გუშინ, 25 ივნისს, ცნობილი გახდა, რომ პროკურატურამ დეპუტატს ბრალი წაუყენა. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი მას იმუნიტეტს მოუხსნის, მელიას დააპატიმრებენ. მას 6-დან 9 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

მთავარ პროკურატურაში 25 ივნისს გამართულ ბრიფინგზე ითქვა, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი აწარმოებენ გამოძიებას 2019 წლის 20-21 ივნისს პარლამენტის წინ გამართულ აქციაზე ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით.

პროკურატურის მიმართვას მყისიერად გამოეხმაურა საკანონმდებლო ორგანო. სასწრაფო წესით ჩაინიშნა ბიუროს სხდომა, სადაც გადაწყდა, რომ მელიასთვის დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნაზე დღეს, 26 ივნისს, იმსჯელებენ.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, გიორგი კახიანის თქმით, 26 ივნისს პლენარულ სხდომაზე იქნება შესაძლებლობა, პარლამენტმა იმსჯელოს ნიკანორ მელიასთვის იმუნიტეტის შეჩერების თაობაზე.

მისივე თქმით, პასუხისგებაში მიცემა არ არის საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია. ეს არის გენერალური პროკურატურის უფლებამოსილება.

– პარლამენტის წევრი სარგებლობს იმუნიტეტით, იმუნიტეტი ვრცელდება დაკავებასა და ჩხრეკაზე, ანუ პროკურატურა ვერ განახორციელებს პარლამენტის წევრის დაკავებას ან ჩხრეკას პარლამენტის თანხმობის გარეშე. ამჟამად, პროკურატურისგან შემოსულია თხოვნა, რომ დროებით შეუჩერდეს ნიკანორ მელიას იმუნიტეტი. პარლამენტი ამ საკითხზე, ბუნებრივია, იმსჯელებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

თავად პროცედურა შემდეგია: მაშინ, როცა ბიურო განსაზღვრავს კომიტეტს და ეს იქნება საპროცედურო საკითხთა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტები, მოხდება ამ საკითხის განხილვა, ვინაიდან ძალიან მჭიდრო ვადებში ვართ მოქცეული. ვფიქრობ, საკომიტეტო განხილვა დილითვე ჩატარდება. ამასთან, პლენარულ სხდომაზე იქნება შესაძლებლობა, რომ პარლამენტმა იმსჯელოს მისთვის იმუნიტეტის შეჩერების თაობაზე.

ცხადია, ამაზე ვიმსჯელებთ და მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას. ზოგადად, საზოგადოებას აქვს ინფორმაცია და ნახა, ნიკანორ მელია რა მონაწილეობას იღებდა ამ საპროტესტო აქციის დროს.

არ დავიწყებ შეფასებებს, რა გააკეთა. შემიძლია, ასევე გითხრათ, დამატებით ასევე პროკურატურის წარმომადგენლები იქნებიან მოწვეული პარლამენტში, მათგანაც მოვისმენთ დამატებით, თუ რაიმე მტკიცებულებები არსებობს. ეს არ იქნება საკითხის განხილვა, რომელზეც ვიმსჯელებთ კონკრეტულ მტკიცებულებებზე, რადგან ეს არ არის პარლამენტის ფუნქცია.

არ გამოვრიცხავ, პარლამენტმა ხვალ მიიღოს გადაწყვეტილება და ნიკანორ მელიას შეუჩერდეს უფლებამოსილება, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში გიორგი კახიანმა.

ბიუროზე, რომელიც პროკურატურის მოთხოვნის საპასუხოდ ჩაინიშნა, დიდი გაწევ-გამოწევა ატყდა.

ნაციონალი რომან გოცირიძე და მეოცნებე, თამბაქოსთან მებრძოლი აკაკი ზოიძე ერთმანეთს შეებნენ.

რომან გოცირიძე ყვიროდა, ნიკა მელიას თავიდან თმა არ უნდა ჩამოუვარდესო, ზოიძე კი აცხადებდა, რომ ვინც შეჭრას აპირებდა პარლამენტში, უნდა დაისაჯოს.

დიდი გაწევ-გამოწევის მიუხედავად, გოცირიძე და ზოიძე ერთმანეთს ხელით მაინც ვერ შეეხნენ. ამაში მათ ხელი „ევროპული საქართველოს“ წევრებმა შეუშალეს.

გარდა იმისა, რომ „ევროპული საქართველოს“ წევრები მოჩხუბრებს აშველებდნენ, სერგი კაპანაძე და სერგო რატიანი პროკურატურის წერილის განხილვის გადადებას ითხოვდნენ.

მათი მოთხოვნა მეოცნებეებმა არად ჩააგდეს და ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, პროკურატურის წერილი იურიდიულ საკითხთა და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს გადაეგზავნა განსახილველად.

სერგო რატიანის აზრით, ხელისუფლება კონფრონტაციაზე მიდის და პოლიტიკური ოპონენტების დევნას იწყებს.

რატიანის თქმითვე, ხელისუფლება უსუსურად გამოიყურება. დეპუტატის განცხადებით, მშვიდობიანი პროტესტის მთავრობას ეშინია.

– ეს არის დადგენილება ნიკა მელიას დაკავებასთან დაკავშირებით და დღევანდელი ხელისუფლება იქცევა სამარცხვინოდ, მათ შეეშინდათ მშვიდობიანი პროტესტის, მათ შეეშინდათ ორგანიზებული საზოგადოების, მათ შეეშინდათ, რომ ფართო საზოგადოებრივი წრეები გამოხატავენ თავის პროტესტს იმის გამო, რომ ქვეყანა მიჰყავს რუსეთისკენ და გვაკადრეს ის, რომ კომუნისტი გაიხადეს ერთმორწმუნედ.

ამის შეეშინდათ და იწყებენ კონფრონტაციას, იწყებენ პოლიტიკურ დევნას, მაგრამ ეს გავლილი ეტაპი არის, ვერავის ამით ვერ შეაშინებენ, ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას, გავაგრძელებთ ბრძოლას ახალი საქართველოსთვის, – აღნიშნა რატიანმა.

მისი თანაპარტიელის სერგი კაპანაძის განცხადებით, იმის ნაცვლად, რომ „ოცნებას“ გაეცა პასუხები იმ კითხვებზე, რომლებიც საზოგადოებას აქვს, პოლიტიკური ლიდერების დაკავება დაიწყეს.

– რას აკეთებთ, მართლა მაინტერესებს, რა, ამ ნაბიჯით მართლა რას აკეთებთ. იმის ნაცვლად, რომ გარეთ შეკრებილ ათასობით ადამიანს გასცეთ პასუხი, იმის ნაცვლად, რომ რა კითხვაც აქვს საზოგადოებას, იმას გასცეთ პასუხი – ხალხი ითხოვს პასუხს იმაზე, დაისჯება თუ არა შს მინისტრი რომლის ბრძანების შედეგად შუაღამიდან დილამდე სპეცდანიშნულების რაზმი ესროდა ტყვიებს, იყენებდა გაზს, ამაზე აქვს ხალხს კითხვა.

ახლა ამ ნაბიჯით კიდევ უფრო პოლარიზებას რომ იწვევთ, ამ ნაბიჯით პოლიტიკური ლიდერების დაკავებას რომ იწყებთ, ამ კითხვებს მოხსნით? გასაგებია, ყველაფრის გაკეთება შეგიძლიათ, ხვალ შეგიძლიათ, მე დამიჭიროთ, შეიძლება, რატიანი დაიჭიროთ, მაგრამ ეს სიტუაციას განმუხტავს? – მიმართა კაპანაძემ მეოცნებეებს.

პროკურატურის გადაწყვეტილება ნიკა მელიასთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ის ამბობს, რომ მისთვის მისთვის პატივია, როდესაც გახარიასთან, ივანიშვილთან და გავრილოვთან ბრძოლაში დაგიჭერენ.

– უხერხულია და, ალბათ, არ არის სასიამოვნო, როდესაც განზრახ მკვლელობაზე დაგიჭერენ, როდესაც წამლის რეალიზაციის საქმეზე დაგიჭერენ, მაგრამ პატივია, როდესაც გახარიასთან, ივანიშვილთან და გავრილოვთან ბრძოლაში დაგიჭერენ. ბოლო პანჩურის ამორტყმის შესაძლებლობა მე რომ არ მექნება, ამაზე მწყდება გული, – აღნიშნა ნიკა მელიამ.

ის დაკითხვაზე პროკურატურაში დღეს, 26 ივნისს, უნდა მივიდეს. დეპუტატი ამბობს, რომ დიდი ტრაგედია არ იქნება, თუ დაიჭერენ, მაგრამ რაღაცებზე მასაც სწყდება გული.

– ამით ახლა ბიძინა ივანიშვილი რას მიაღწევს, ჩემს პატიმრობას ვგულისხმობ. რა, პანაცეაა და მოგვარდება და ხალხი გადაიფიქრებს, რომ ბიძინა ივანიშვილი, გახარია და გავრილოვი არიან ცუდები?!

მარტივად არის საქმე – შეშინებული, აგონიური, დამფრთხალი ხელისუფლების მდგომარეობაა, რომელსაც მიაჩნია, რომ ოპოზიციურმა ლიდერებმა შექმნეს ისტერიული პოლიტიკური ვითარება და გამოვიყენეთ აღელვებული ადამიანების ემოციები საჩვენოდ.

თუ დამიჭერენ, ამით არაფერი მოხდება, მხოლოდ იმაზე მწყდება გული, რომ ივანიშვილისთვის პანღურის ამორტყმაში ვერ მივიღებ მონაწილეობას, – განაცხადა ნიკა მელიამ.

საგანგებო ბრიფინგი გამართა გაერთიანებულმა ოპოზიციამ. გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, „ქართული ოცნება“ გადავიდა ბოლშევიკურ ტერორზე.

მისივე თქმით, იმას, რაც დღეს ხდება საქართველოში, ხელისუფლებას სამოქალაქო საზოგადოება არ აპატიებს.

– იმის მაგივრად, რომ სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ კოლაბორაციონისტურ ხელისუფლებას დაეწყო პირდაპირი პოლიტიკური დიალოგი, დაიწყო ბოლშევიკური ტერორი.

უკვე გამოაცხადეს, რომ აპატიმრებენ კონსოლიდირებული ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს, ნიკა მელიას. დამიჯერეთ, ეს ბოლო დაპატიმრება არ არის. თუ შედგა ეს დაპატიმრება, ამას კიდევ ბევრი სხვა დაპატიმრება მოჰყვება, იმიტომ, რომ ყველაზე მთავარი ახლა განწირული ხელისუფლებისთვის არის ყურადღების გადატანა ძიძგილაობაზე, დაპირისპირებაზე, ქუჩაში ერთმანეთის თავ-პირის მტვრევაზე.

ნიკა მელიას ქმედებაში არ იყო არავითარი სისხლის სამართლის დანაშაული, ნიკა მელია გამოიტანეს ხელით პარლამენტიდან და ჩამოუშვეს ქვემოთ ქუჩაში და ადამიანმა ერთადერთი, რაც თქვა, იყო ის, რომ საქართველოს მოქალაქეს აქვს უფლება, შევიდეს ამ შენობაში, რომელსაც ჩვენი ხელფასით ვინახავთ.

არაფერი აღარ უშველის ამ ხელისუფლებას. აღმოჩნდა, რომ სახალხო პროტესტის მეექვსე დღეს მათ ვერ გაიგეს ერთი რაღაცა. ნიკა მელიასთან, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან, გაერთიანებულ ოპოზიციასთან და კონსოლიდირებულ ოპოზიციასთან კი არ არიან დაპირისპირებული, არიან დაპირისპირებული საქართველოს მოქალაქესთან, – აღნიშნა გრიგოლ ვაშაძემ.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგი უგულავა მელიას წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას ივანიშვილის პროვოკაციას უწოდებს.

– პროვოკაციის მიზანი არის მშვიდობიანი და მტკიცე პროტესტი, რომლის მიმართ ივანიშვილის რეჟიმს მოუწია უკან დახევა, ჩვენ ვნახეთ, რამდენიმე დღის წინ მათ არ ემეტებოდათ ქუცნაშვილი, მაგრამ გაწირეს, მათ არ ემეტებოდათ კობახიძე, მაგრამ გაწირეს.

მათ 2024 წელს უნდოდათ, ჩაეტარებინათ სამართლიანი პროპორციული არჩევნები, მაგრამ გაწირეს და საზოგადოების ძალისხმევით დათმეს პროპორციული სამართლიანი არჩევნების იდეაც. მაგრამ ყველაზე მეტად, რისაც ეშინია, როგორც ჩანს, არის ის პროტესტი, რომელიც აქ, რუსთაველზე მიდის.

ეს არის ზეპარტიული პროტესტი, ეს არის ყველა ადამიანის პროტესტი, ეს არის გაბრაზებული ადამიანების პროტესტი. რას უპირისპირებს ივანიშვილი ამ პროტესტს – მას უნდა, ამ დაპატიმრებებით ეს პროტესტი წარმოაჩინოს წინა და დღევანდელი ხელისუფლების დაპირისპირებად, გადაიყვანოს აბსოლუტურად სხვა რაკურსში. მას ეს არ გამოუვა. ეს არის გაბრაზებული ადამიანების პროტესტი, ეს არის მტკიცე პროტესტი და მას აქვს ძალიან კონკრეტული მიზანი.

მიზანი დარჩა ერთი – გადადგეს გიორგი გახარია, რომელიც არის სისხლის სამართლის დამნაშავე, ადამიანი, რომელმაც საკუთარ მოსახლეობას დათვის შემაკავებელი ტყვიები ესროლა. ადამიანი, რომელმაც თვალები დასთხარა და გააუბედურა ასობით ჩვენი თანამოქალაქე, – განაცხადა გიგი უგულავამ.

ის არ გამორიცხავს, რომ ოპოზიციის სხვა ლიდერები და მათთან ერთად ისიც დააკავონ.

უგულავა ამბობს, რომ ამით არაფერი შეიცვლება და საქართველოში პროტესტი მაინც გაგრძელდება.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ეკა გიგაური: „ქართული ოცნება“ ცდილობს, კრიზისი გადააგოროს და გახარია არ მოხსნას“

## „რუსეთი რბილი ძალით საქართველოს ოკუპაციას ახდენს და ხელისუფლებას რეაქცია არ აქვს“

**იაგო ნაცვლიშვილი**

პარლამენტთან გამართულმა აქციამ გარკვეული შედეგი გამოიღო და „ქართული ოცნება“ პროპორციულ საარჩევნო სისტემას დათანხმდა, თუმცა, კიდევ ერთ მთავარ მოთხოვნას არ თანხმდება და შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია ისევ თანამდებობაზე რჩება. უფრო მეტიც, საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატები მას მადლობას უხდიან სწორი გადაწყვეტილებებისთვის. გახარიას თემაზე დისკუსია 25 ივნისს დეპუტატებს შორის ფიზიკური შეხლა-შემოხლის საფუძველი გახდა.

მიმდინარე პოლიტიკურ პროცესთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი **ეკა გიგაური** საუბრობს:

***– პარლამენტის ახალი თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე გახდა, იქამდე იყო ექსცესები გახარიას თემაზე, უმრავლესობის წევრები მინისტრს მადლობას უხდიან და ამბობენ, რომ ქვეყანას არეულობა აარიდა. რა პროცესია ეს?***

– მთავარი ალბათ რაც ჩანს, არის ის, რომ ხელისუფლება ვერ გრძნობს საზოგადოების გულისცემას და ვერ ხვდებიან, რა ხდება საზოგადოებაში, რატომ არის ამდენი გაღიზიანებული ადამიანი, რატომ არ ეზარებათ და მოდიან ამ 5 დღის განმავლობაში რუსთაველზე და ივსება რუსთაველის გამზირი, რატომ ხდება ისე, რომ გარკვეული კრიზისის დროს მაშინვე ივსება რუსთაველი? ეს ადამიანები აქციაზე არიან კონკრეტული მოთხოვნებით, მაგრამ იქ არიან სხვა პრობლემების გამოც, ხედავენ, რომ გარკვეული მიმართულებით არის ქვეყანაში პრობლემები – მათ შორის სასამართლოში, ეკონომიკაში თუ არჩევნების ორგანიზებასთან დაკავშირებით, სადაც ძალაუფლების შესანარჩუნებლად უამრავ უსამართლო მეთოდს იყენებენ.

რეალურად ყველა ადამიანი ხედავს, რომ ქვეყანაში არის უამრავი პრობლემა. გარდა იმ მოთხოვნისა, რომ გადადგეს გახარია და გაათავისუფლონ დაკავებულები და გადამდგარიყო კობახიძე, ამასთანავე, კიდევ ერთი მოთხოვნა იყო პროპორციულ სისტემაზე გადასვლა, იმიტომ, რომ მოსახლეობას სურვილი აქვს, გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ პროცესებზე. დღეს ადამიანები გარიყულები არიან, ჩვენი ქვეყნის მომავალი 1 კაცის ხელშია და ეს მომავალი რაღაცა სახით უკავშირდება რუსეთს. ხელისუფლებას ნამდვილად არ აქვს მგრძნობელობა რუსულ თემასთან დაკავშირებით. სხვა შემთხვევაში მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ღონისძიება ჩატარდებოდა პარლამენტში და, საზოგადოებიდან რომ არ ყოფილიყო მწვავე რეაქცია, მათ არანაირი რეაქცია არ ექნებოდათ. ისინი ამტკიცებდნენ პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფდა რუსეთის დელეგაციის შეხვედრებს, ბანკეტების მოწყობასა და ა.შ.

***– მგრძნობელობა არ აქვს რუსეთის თემის მიმართ „ოცნებას“ თუ იმის შთაბეჭდილებაც ხომ არ გექმნებათ, რომ რუსეთთან გარკვეული შეთანხმებით მოქმედებენ?***

– ფაქტობრივად, ბევრი კითხვა არსებობდა, რამდენად ახლოს არის „ქართული ოცნება“ რუსეთთან და გარიგებულები ხომ არ არიან რაღაც თემებში... ყოველთვის რთული იყო ამ კითხვაზე პასუხი, რადგან „ოცნებაში“ უმცირესობაში არიან, მაგრამ, რამდენიმე ადამიანია, რომლებსაც მკაფიოდ პროდასავლური მსოფლმხედველობა აქვთ. დღეს დავინახეთ, რომ ამ ადამიანებს არავინ არაფერს უსმენს და ზოგადად მათი პროდასავლურობა გამოიყენებოდა შესაფუთად, თითქოს „ქართული ოცნება“ პროევროპული პარტიაა. დღეს ვხედავთ, რომ კითხვის ნიშნები შეიძლება ნაკლებად იყოს ამასთან დაკავშირებით.

ამას ვამბობ იქიდან გამომდინარე, რომ შევხედოთ, რაც ხდებოდა მანამ, როდესაც აგრესიულ ქსენოფობიური, ფაშისტური და რასისტული ჯგუფებთან მიმართებით რეაქცია არ ყოფილა ხელისუფლების მხრიდან წლების განმავლობაში და როდესაც იცი, ამ ადამიანების ნაწილი საქართველოში რუსულ არასამთავრობო ორგანიზაციებს წარმოადგენენ და ამაზე ხელისუფლებას არ აქვს არანაირი რეაგირება. არც იმაზე, როდესაც რუსული დეზინფორმაციის კამპანიები ძალიან აქტიურია ქვეყანაში და ამისთვის სახელმწიფო არაფერს აკეთებს. როდესაც შენს სახელმწიფოში მიმდინარეობს ტრენინგები რუსული პროპაგანდისტული მედიასაშუალებების ორგანიზებით, სადაც, ფაქტობრივად, ადამიანებისთვის ტვინის გამორეცხვა ხდება. როცა ასეთ რამეზე აღშფოთებასაც კი არავინ გამოთქვამს. ეს კი არა, სამართლებრივი რეაგირებაც შეიძლება, რითაც კარს უხსნი რუსეთის ოკუპაციას, ოღონდ სხვა ფორმით – არა სამხედრო ძალით, არამედ რბილი ძალით, რასაც რუსეთი უკეთებს შენს ქვეყანას.

***– იმას გულისხმობთ, რომ ევროპის ბევრ ქვეყანაში რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ აქტიურად მუშაობენ, დასჯადი ქმედებაა და, ჩვენ როცა ასეთი გამოწვევები გვაქვს, ფიქრობთ, რომ დასჯადი უნდა იყოს, ამაზე მიანიშნებთ?***

– რა თქმა უნდა. ვფიქრობ, რომ დასჯადი უნდა იყოს როგორც სამართლებრივი, ისე ინსტიტუციური გზებით, რაც მინიმუმამდე დაიყვანს რუსულ პროპაგანდას ჩვენს ქვეყანაში. დღესაც საინტერესო ფაქტია, რომ ასეთი აგრესიული განცხადებები იყო პუტინის მხრიდან თუ რუსეთის სხვა მაღალჩინოსნების მხრიდან და ჩვენ არ გვსმენია საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან.

ერთადერთი განცხადება იყო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დაცულია რუსეთის მოქალაქეების უსაფრთხოება. თითქოს ჩვენთან რაიმე შემთხვევა ყოფილიყოს, როდესაც რუს ტურისტს ან მოქალაქეს რაიმე პრობლემა შეჰქმნოდა. ქართველი ხალხი არ გამოირჩევა ამ მხრივ აგრესიით და საკითხის ასე წარმოჩენა არასწორია. აქციის ორგანიზატორებმაც არაერთხელ მიმართეს საზოგადოებას, რომ რუსეთის მოქალაქეების მიმართ არ გამოეჩინათ არანაირი აგრესიული მოქმედება. თუმცა, იმ პოლიტიკურ განცხადებებზე, რომლებზეც რუსეთი საუბრობდა, საქართველოს მთავრობას რეაგირება არ ჰქონია. ეს ძალიან აღმაშფოთებელია. სტუდენტთა ჯგუფი პროდასავლურ აქციებს მართავს, ამაზე აქვს რეაგირება რუსეთს და ჩვენი მთავრობა არც კი პასუხობს. ეს რას ნიშნავს? საერთოდ გვყავს საგარეო საქმეთა სამინისტრო? აგვიხსნან მაინც, რატომ არ აქვთ ეს რეაგირება?

„ქართული ოცნება“ ცდილობს, კრიზისი გადააგოროს, შესაძლოა, მუხტი დაეცეს და მათ არ მოუწიოთ მინისტრის გადაყენება, თუმცა, მგონია, რომ, შესაძლოა, რამდენიმე დღის განმავლობაში იმდენი ხალხი არ გამოვიდეს, რამდენიც პირველ დღეებში იყო, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. მოვა მომენტი და კიდევ უფრო მეტი ხალხი გამოვა ქუჩაში.

***– რატომ ვერ ელევა „ქართული ოცნება“ გახარიას? იმიტომ, რომ ივანიშვილის დასაყრდენია თუ იმიტომ, რომ პირადად პუტინისგან იმართება? ასეთი ვერსიაც არსებობს საზოგადოებაში.***

– მე შეთქმულების თეორიებში ვერ შევალ, რადგან ნამდვილად არ ვიცი, პუტინისგან მართულია თუ არა გიორგი გახარია. თუმცა, ბევრი ფაქტორი შეიძლება იყოს. ერთი – ეს არის კლასიკური შეცდომა, რომელსაც ხელისუფლებები უშვებდნენ ხოლმე და ეს შეცდომა ჰქონდა წინა ხელისუფლებასაც, როდესაც გუნდის წევრს არწირავენ და ბოლომდე იცავენ, საბოლოოდ კი გუნდის ის წევრი ხდება ხოლმე მათთვის პრობლემა არჩევნების დროს. მეორე, ეს არის ის, რომ გახარია არის უშშროების საბჭოს მდივანი, შს მინისტრი, ასევე არის კაცი იმ უწყებაში, რომელიც ახორციელებს მოსმენებს ჩვენს ქვეყანაში და ასევე არის პასუხისმგებელი იმ გადაცდომების გამოძიებაზე, რომელიც შეიძლება ჩაიდინოს სუსის, პოლიციისა თუ პროკურატურის თანამშრომელმა. რა თქმა უნდა, ამას მას არ ჩააბარებდნენ იმ შემთხვევაში, თუ არ ეცოდინებოდათ, რომ მათ ამის მართვა შეუძლიათ. ამიტომ მოვლენები კლასიკურად ვითარდება, თუმცა, დიდი შეცდომაა, როცა ასე ხდება.

ხელისუფლება გადაწყვეტილებების მიღებას აგვიანებს. ჯერ დააგვიანა კობახიძის გადაყენება, ახლა ამ გადაწყვეტილებას აგვიანებს და არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები. სჯობს, პრევენციულად მიიღონ გადაწყვეტილებები და არ დაელოდონ მოვლენების განვითარებას.

***– კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი იყო აქციის დაშლის შემდგომ პროცესებთან მიმართებით, როცა დაკავებულების საქმეს განიხილავდა ლევან მურუსიძე. ეს რას ნიშნავდა თქვენთვის?***

– იქ შემოიღეს სპეციალიზებული სისტემა, ელექტრონული განაწილების წესი. ამბობდნენ, რომ ეს არის ის პროგრესი, რომელიც მიიღეს. ზუსტად იციან, ვისთან მოხვდება საქმეები, აი, ეს იყო ზუსტად. ვამბობდით, რომ შედეგად ასეთი რაღაცა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც, რომ ეს ყველაფერი დაეწერა მურუსიძეს.

დღეს ამ ახალგაზრდებს უშვებენ მურუსიძის ხელით, ეს არის ფაქტი. ისინი გამოსაშვებები არიან, მაგრამ არა მურუსიძის ხელით, არამედ პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა გაეკეთებინა ეს და ამდენი ხნის განმავლობაში ეს ხალხი ციხეში არ უნდა მსდარიყვნენ და უკვე დააგვიანეს. ახლა როცა დაინახეს ხალხის ასეთი მძლავრი მოთხოვნა, გადაწყვიტეს ამის გაკეთება, თანაც მურუსიძის ხელით, რომელსაც უნდა ჩამობანონ ის შელახული რეპუტაცია, რომელიც მურუსიძეს აქვს და ამას აკეთებენ ამიტომ. მაგრამ, მათ ეს არ გამოუვათ, რამდენიმე აქტივისტმა უარიც კი უთხრა გამოშვებაზე, რადგან არ უნდოდათ, მურუსიძეს მოეწერა ხელი გათავისუფლების აქტისთვის. ეს არის ის განწყობა, რომელიც საზოგადოებას აქვს. ეს სტუდენტები ჩვენი ქვეყნის მომავლისა და დემოკრატიისთვის იბრძვიან.

მათი მოთხოვნა იყო პროპორციული საარჩევნო მოთხოვნაც, ანუ მათთვის სულ ერთია, რომელი პარტია გაიმარჯვებს. მათ უნდათ, ხმები აისახოს მანდატებში. არ შეიძლება, განხილული ყოფილიყო, რომ ამის უკან პოლიტიკოსები დგანან, იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკოსებიც მოდიან აქციაზე, როგორც რიგითი მოქალაქეები.

აუცილებლად უნდა ვთქვა ისიც, რომ „ქართულმა ოცნებამ“ აღიარა, რომ აპოლიტიკური აქცია იყო. ეს თქვა ბიძინა ივანიშვილმა, ახალგაზრდები მთხოვდნენ და მაგიტომ გადავწყვიტე პროპორციულზე გადასვლაო. მაშინ, თუ ასეა, რატომ აფინანსებენ ე.წ. ფეიქგვერდებს „ფეისბუქზე“ და რატომ უშლიან ახალგაზრდებს ნერვებს?! რატომ არის ამდენი ბოტი გააქტიურებული და რატომ ცდილობენ მათი რეპუტაციის შელახვას. სახელისუფლებო მედიით დაწყებული და ამ გვერდებით დამთავრებული, ყველანაირად ცდილობდნენ, რომ ამ ახალგაზრდების რეპუტაცია შელახულიყო. მაშინ ამაზე ფულს რატომ ხარჯავდნენ?

***– „ქართულ ოცნებას“ მოუწია საარჩევნო სისტემის დათმობა, შემოგვთავაზა პროპორციულ სისტემაზე გადასვლა, მაგრამ 0%-იანი ბარიერით, რამაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. რეალურად დათმო „ოცნებამ“ თუ რაღაც ხრიკები აქვს ჩაფიქრებული?***

– რა თქმა უნდა, თავიანთი პარტიისთვის რაღაც შესაძლებლობებს განიხილავდნენ, სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, მაგრამ ეს სისტემა, რომელიც მათ შემოგვთავაზეს, ბევრად სჯობს იმ სისტემას, რომელიც ახლა გვაქვს. მეორეა ის, რომ ახალ პარტიებს მეტი შესაძლებლობა ექნებათ პარლამენტში მოსახვედრად. იმ პარტიებს, რომლებსაც ნაკლები ფინანსური შესაძლებლობა აქვს, მაგრამ საინტერესო იდეები აქვთ. შესაძლოა, ახალგაზრდებს უფრო მეტად ეს პარტიები მოსწონდეთ, ვიდრე სხვები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სრულად პროპორციულად აისახება მანდატებში და გვექნება მრავალფეროვანი პარლამენტი.

რაც შეეხება რისკებს, ყველა სისტემას ახლავს რისკები, როგორც ამას, ასევე სხვებსაც. ის, რომ რეალურად შეიძლება პრობლემატური იყოს მთავრობის დაკომპლექტებისთვის, ესეც იმიტომ, რომ ჩვენს პოლიტიკოსებს ნაკლები პოლიტიკური კულტურა აქვს. არ არიან შეჩვეული, დასხდნენ მაგიდასთან და მოილაპარაკონ. ცხადია, ყველაზე არ არის საუბარი, მაგრამ უმეტესობას ეხება. ახლა ახალგაზრდებმა მოახერხეს და გააკეთეს ეს. 20 წელია, პოლიტიკოსებმა ითხოვენ ამას და მხოლოდ სტუდენტებმა მოახერხეს.

მეორე საკითხია, რომ საუბრობენ იმაზე, რომ შესაძლოა სატელიტი პარტიები შეიქმნას, მაგრამ, თუ გვეცოდინება, ვინ დააფინანსებს ამ პარტიებს, საზოგადოებას ექნება ინფორმაცია, ვინ დგას მის უკან და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ეს არის ამ სტუდენტების გამარჯვება. ვენეციის კომისია ამბობს, რომ თუ 3%-იანი ბარიერი იქნება, უკეთესი იქნება, მაგრამ მგონია, რომ ეს არის ამ ახალგაზრდების გამარჯვება.

***– სააკაშვილმა თქვა, რომ ვინც ამას დათანხმდება, ან სულელია, ან გაყიდული. როგორ აფასებთ ამ განცხადებას?***

– ვნახეთ, რომ ამ დღეებში სააკაშვილს აქვს აბსოლუტურად არაადეკვატური განცხადებები. მათ შორის აქციის მიმდინარეობის დროს როცა თქვა, რომ ხალხი პოლიციას არ უნდა დაემორჩილოს და ა.შ. ახლა ეს განცხადებაც გააკეთა. მე მგონი, ამ აქციის ორგანიზატორებმაც დაგმეს ეს ყველაფერი და არანაირი ყურადღება არ მიუქცევიათ მისთვის, იმიტომ, რომ კითხვა გაჩნდა მის ადეკვატურობასთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ წასულია ქვეყნიდან და არ იცის, რა ხდება რეალურად. მხოლოდ და მხოლოდ ვიღაცები აწვდიან ინფორმაციას, ამიტომ ეს ყველაფერი სერიოზულად არ იყო განხილული. ცხადია, ამ განცხადებებს არ ვეთანხმები.

## სამადაშვილი: „მსგავსი შემთხვევა ჩვენს ისტორიაში არ ყოფილა, რომ პარლამენტის წევრისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა აღეძრათ“

პროკურატურის მიერ გაკეთებულ განცხადებას დეპუტატ ნიკა მელიას წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრი სალომე სამადაშვილი ეხმაურება.

სალომე სამადაშვილი აცხადებს, რომ ასეთი რეპრესიული პოლიტიკის მქონე მთავრობა, რომელიც დღეს საქართველოს ჰყავს, ქვეყანას დამოუკიდებლობის ისტორიაში არ ახსოვს.

– საქართველოს პარლამენტში დაიწყო პროცედურა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველად პარლამენტის წევრისთვის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე. მსგავსი შემთხვევა ჩვენს ისტორიაში არ ყოფილა, რომ მოქმედი პარლამენტის წევრისთვის აღეძრა სისხლის სამართლებრივი დევნა ხელისუფლებას. ეს თავისთავად, უკვე მეტყველებს ერთადერთ რამეზე, რომ მსგავსი რეპრესიული პოლიტიკური სისტემა ამ ქვეყანას დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ არ ჰყოლია, – განაცხადა სალომე სამადაშვილმა.

მისივე თქმით, ბიძინა ივანიშვილმა ღიად თქვა, რომ შს მინისტრს, გიორგი გახარიას, თანამდებობას არ დაატოვებინებს.

– გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტში გავრილოვის ჩამოსვლაზე ასევე პასუხისმგებელი ადამიანი, როგორიც იყო კობახიძე, დანიშნა ივანიშვილმა. თავიანთი მორიგი მარიონეტი აირჩიეს პარლამენტის სპიკერად და ქართველ ხალხს დასცინა ბიძინა ივანიშვილმა და უთხრა, რომ, რა თქმა უნდა, გახარია არსად არ წავა. მოსკოვის მიერ დანიშნული შს მინისტრი რჩება ადგილზე, გავრილოვის ჩამომყვანი ერთი პირი ჩაანაცვლეს მეორე პირით, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარედ და გავრილოვთან დაპირისპირებული ოპოზიციის წარმომადგენელი, ის, ვინც ფიზიკურად დაუპირისპირდა გავრილოვის მიერ ჩვენი პარლამენტის სპიკერის სავარძლის დაკავებას და განაცხადა, რომ მე არ შემოვუშვებ კობახიძეს აქ, სანამ არ გადადგება, ეს ადამიანი გახდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დევნის ქვეშ და საპარლამენტო იმუნიტეტის მოხსნის შესაძლო მსხვერპლი, – განაცხადა სალომე სამადაშვილმა.

## მთავრობა ათი მიმართულების ჩარტერულ რეისებს დააფინანსებს

საქართველოს მთავრობა, სავარაუდოდ, მსოფლიოს ათი მიმართულებით ჩარტერულ რეისებს დააფინანსებს.

ამის შესახებ სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის დამფუძნებელმა შალვა ალავერდაშვილმა ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა.

მისი განმარტებით, მთავრობა სწორედ კერძო სექტორიდან ელოდება იმ ქალაქების ჩამონათვალს, სადაც ფრენებს დააფინანსებს.

ამ ინიციატივის შესახებ დეტალები, მათ შორის ქალაქების ჩამონათვალი, სავარაუდოდ, ამ შეხვედრის დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

**BMG**

# „ფულიანი მაჟორიტარები პარტიას ქმნიან“

## ლადო სადღობელაშვილი: „ასე მგონია, 2003 წელი მეორდება“

შორენა მარსაგიშვილი

**„ხელისუფლება ბობოლა ნაცებს ვერაფერს უბედავს და პატარა გოგოებს სთხრის თვალებს“**

იქნება თუ არა ვარდების რევოლუცია ორი, რატომ შეიძულეს ბავშვებმა პოლიცია, რა ჩაიფიქრეს მაჟორიტარებმა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამოქალაქო აქტივისტი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

**ლადო სადღობელაშვილი:**

– წინა ინტერვიუში გითხარით, რომ ბიძინა ივანიშვილი მესამე ძალის შექმნას არ დაუშვებდა. გითხარით, რომ ის პატარ-პატარა სატელიტი პარტიებით შეეცდებოდა მომავალ პარლამენტში უმრავლესობის შექმნას. ყველაფერი სწორედ აქეთკენ მიდის. პროპორციულ არჩევნებზე გადასვლა და ნულოვანი ბარიერის დაწესება ამას ისახავს მიზნად.

ეს არის სხვა არაფერი, თუ არა შაჰაბასური მიდგომა. „ოცნების“ ლიდერი ოპოზიციას ერთმანეთს დააჭმევინებს. თუ ნულოვანი ბარიერი დარჩა, დიდი ოპოზიციური ერთობა აღარ შედგება, ყველა თავისი გზით წავა. მომავალ პარლამენტში სულ მცირე 8 პარტია მაინც შევა. ზოგმა შეიძლება 1 კაცი გაიყვანოს, მაგრამ ჩაითვლება, რომ პარლამენტში შევიდა.

ამასთანავე, როგორც მე მითხრეს, მაჟორიტარებს აქვთ დავალებული ახალი პარტიის შექმნა.

***– მათ რატომ უნდა შექმნან პარტია?***

– იმიტომ, რომ ივანიშვილმა დაავალა. ამ შემთხვევაში ფულიან მაჟორიტარებზე მაქვს საუბარი. მათთან ერთად პარტიაში ყოფილი მაჟორიტარებიც შევლენ, ასევე ფულიანები.

***– ამ ფულის ტომრების პარტია რაში სჭირდება „ოცნების“ ლიდერს?***

– ეს ხალხი საკუთარ თავს დააფინანსებს. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, რამდენიმე ყოფილი მაჟორიტარი უარს ამბობს ამ პარტიაში გაწევრიანებაზე. მაგალითად, ცეზარ ჩოჩელი. მას იმდენი ადამიანი ყავს დასაქმებული, რომ მარტო მათ მიერ მიცემული ხმებით შევა პარლამენტში. სხვების პარტიაში რატომ უნდა შევიდეს, როცა დამოუკიდებლადაც შეუძლია შესვლა.

***– ეგ 2016 წელსაც ცდილობდა დამოუკიდებლად შესვლას, მაგრამ რა გამოუვიდა?***

– მაშინ ჩოჩელს არჩევნები მოგებული ჰქონდა, მაგრამ „ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა, რომ დიმიტრი ხუნდაძე გაეყვანა.

ივანიშვილის შაჰაბასური გეგმა ძალიან მარტივი გასაშიფრია და ძალიან მიკვირს ოპოზიციის, რომელიც ამას თანხმდება.

***– ოპოზიციის ნაწილი არ იღებს ამ შემოთავაზებას.***

– ძალიან ბევრი პარტია თანახმაა, რომ ნულოვანი ბარიერი იყოს. მათ გაუჩნდათ შანსი, რომ შევიდნენ პარლამენტში. ესენი რომ დახოცო, ამ შეთავაზებაზე უარს არ იტყვიან. ასეთი შანსი მათ მეორედ კი აღარ მიეცემათ. მათთვის მიცემულ შანსს „ოცნების“ ლიდერი, ბუნებრივია, სათავისოდ გამოიყენებს – ამ პარტიებისგან ახალ უმრავლესობას შექმნის.

ლევან ვასაძის ფლანგს, რომელიც რამდენიმე დაჯგუფებას აერთიანებს, ეს ინიციატივა არ უნდა უხაროდეს. ისინი ცალ-ცალკე ვერასდროს დააგროვებენ პარლამენტში მოსახვედრად საჭირო 12.000 ხმას. იმისთვის, რომ ამდენი ხმა აიღონ, უნდა გაერთიანდნენ, რაც გამორიცხულია.

***– რატომ არის გამორიცხული?***

– ეს ადამიანები ისეთი ამბიციურები არიან, რომ საკუთარ თავს სხვაზე უკან არავითარ შემთხვევაში არ დააყენებენ.

ასევე იქნება სხვა ფლანგებზეც. ამით ვინ იხეირებს? ივანიშვილი. ოპოზიცია ერთმანეთს დაჭამს და სიტუაციაც ჩაწყნარდება.

***– დარწმუნებული ხართ, რომ ის საპროტესტო მუხტი ჩაწყნარდება, რაც დღეს ქვეყანაშია?***

– ასე მარტივად არაფერი დაწყნარდება. ახლა ივანიშვილი და სააკაშვილი ჩვეულებრივად ვაჭრობენ.

პარლამენტში და პარლამენტს გარეთ მიმდინარე მოვლენებს რომ ვუყურებ, 2003 წელი მგონია, როცა ვარდების რევოლუცია მოხდა. ამასთან 100%-ით ვარ დარწმუნებული, რომ პროცესები არის მართული.

***– ვის მიერ?***

– თუნდაც ივანიშვილის მიერ. ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო იყო ამ ფონზე მამუკა ხაზარაძის გამოჩენა. ამ ადამიანს ლამის ქვეყნიდან გასაქცევად ჰქონდა საქმე, ახლა უცებ ვიგებთ, რომ ის ისევ ბრუნდება თიბისიში.

დარწმუნებული ვარ, რომ ის მოთხოვნები, რაც ახლა ოპოზიციას აქვს, ეტაპობრივად შესრულდება.

***– ვადამდელ არჩევნებზე და გახარიას გადადგომაზეც იქნება თანხმობა?***

– გახარიას გადაყენება ავტომატურად ნიშნავს ვადამდელ არჩევნებს. „ოცნება“ ყველანაირად შეეცდება, რომ ვადამდელი არჩევნების დანიშვნის საკითხი გაწელოს. ახლა მათ ნამდვილად არ აწყობთ არჩევნების ჩატარება.

***– აქამდე ამბობდნენ, რომ ვადამდელი არჩევნების ჩატარება მხოლოდ მმართველ პარტიას აძლევდა ხელს.***

– აქამდე „ოცნებას“ გავრილოვის ღამე მოწყობილი არ ჰქონდა. ახლა რომ არჩევნები ჩაინიშნოს, „ოცნება“ ეგრევე დამთავრდება, რაც ოპოზიციის ნაწილს არ აწყობს. მათ შორის არც ეკა ბესელიას.

***– რატომ არ აწყობთ?***

– იმიტომ, რომ ბესელიას ისეთი ადამიანები უმაგრებენ ზურგს, ვისაც ნაციონალები ეჯავრება.

ვადამდელი არჩევნები ასე მარტივად არ დაინიშნება. ეს ძალიან ბევრ პარტიას არ აძლევს ხელს. არც ის დაგავიწყდეთ, რომ პროცესი არის მართული.

იმასაც მივაქციოთ ყურადღება, რომ რაღაც ზღვარია დაჭერილი, რათა ხალხი შეცდომაში შეიყვანონ. კიდევ ერთხელ გეუბნებით, მგონია, რომ 2003 წელი მეორდება. დაპირისპირებაშიც იგივე სახეები მონაწილეობენ.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ისევ ხელისუფლებაშია კობა ნარჩემაშვილი. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ შს მინისტრი იყო, ახლა დეპუტატია.

***– ნარჩემაშვილი ვახსენეთ და რას იტყვით მის რჩევაზე, მან გახარიას გადადგომისკენ მოუწოდა.***

– კობა ნარჩემაშვილი შეიძლება ბევრს არ მოსწონს, მაგრამ ის გამოცდილი ადამიანია. მას შესაბამისი სკოლა აქვს გავლილი და რაღაცებს წინასწარ გრძნობს.

***– ამის გარდა, მას ბლომად ინფორმაციებიც აქვს.***

– რა თქმა უნდა, ბევრი ინფორმაცია აქვს და ამიტომაც ურჩევს გახარიას, რომ პოსტი დატოვოს.

2003 წლის მსგავსად, ისევ ოპოზიციაში არიან ბოკერია და მისი გუნდი. ეს ხალხი რევოლუციების მოხდენის ნამდვილი ოსტატები არიან. მათ მარტო საქართველოში არა აქვთ რევოლუციაში მონაწილეობა მიღებული. დსთ-ს რამდენიმე ქვეყანაში ცდილობდნენ ხელისუფლების შეცვლას. ბოკერიასთან და მის გუნდთან ბრძოლა „ქართულ ოცნებას“ ძალიან გაუჭირდება.

ჩემ ხელთ არსებული ინფორმაციით, ბოკერიას და დანარჩენი ოპოზიციის აქტივობებს მამუკა ხაზარაძე აფინანსებს. ხაზარაძე და ივანიშვილი კი უკვე მოგვარდნენ ერთმანეთში.

***– რაში გამოიხატება, რომ მოგვარდნენ?***

– მოგვარებულები რომ არ იყვნენ, ხაზარაძე ბანკში ვერ დაბრუნდებოდა.

***– ასე მალე როგორ მოგვარდნენ?***

– ორივე ბიზნესმენია და ბიზნესმენები მარტივად გვარდებიან ერთმანეთში. მათთვის მთავარია ფული. ფულის ხათრით ძალიან მარტივად შეუძლიათ, რომ მოგვარდნენ.

ბოკერია რომ მოვიდეს ხელისუფლებაში, მისთვის ყველაზე კომფორტული ოპოზიციური ძალა იქნება „ქართული ოცნება“.

***– როგორც ახლა ყოფილი ხელისუფლებაა „ოცნებისთვის“ კომფორტული ოპოზიცია?***

– რა თქმა უნდა. არც ის მგონია შემთხვევითი, რომ „ოცნებასა“ და ნაცებს შორის ტოლობის ნიშანი გაჩნდა. 20-21 ივნისის დარბევის შემდეგ მათ შორის განსხვავება აღარ არის.

***– რატომ გგონიათ, რომ ეს ტოლობის ნიშანი შემთხვევით არ გაჩენილა?***

– რამდენიმე თვეში 7 წელი სრულდება, რაც „ოცნება“ ხელისუფლებაშია. მთელი ამ ხნის მანძილზე პოლიციას ძალა არ გამოუყენებია.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ძალის გამოყენება საჭირო არ იყო და ეს რაღაცისთვის გააკეთეს?***

– აქ არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. „ოცნებაში“ ამბობენ, რომ ივანიშვილს ირაკლი კობახიძის მოშორება და გახარიას შესუსტება უნდოდა. ეს უკანასკნელი „ოცნებაში“ არის ვანო მერაბიშვილის ანალოგი. მერაბიშვილი თავის მხრივ ნაცებში იყო წონიანი ფიგურა.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ყოფილი ხელისუფლება ამ ადამიანზე იდგა. როგორც კი სააკაშვილმა ის შს მინისტრობიდან პრემიერად გადაიყვანა, იმ წუთიდან დაიწყო ნაცმოძრაობის რღვევა.

გახარიას ფიგურა არა მარტო ოპოზიციას, არამედ ივანიშვილსაც აშინებს. სხვათა შორის, ასევე ეშინია მერაბიშვილის სააკაშვილს.

***– სააკაშვილს რატომ ეშინია მერაბიშვილის?***

– იმიტომ, რომ ის მიშაზე ძალიან ბევრ ინფორმაციას ფლობს. აქედან გამომდინარე „ოცნების“ ლიდერს არ სურს, რომ გახარია მერაბიშვილივით გაძლიერდეს.

ამ ადამიანმა ისედაც ძალიან დიდი ძალაუფლება მიიღო და პოლიტიკურად მისი შეზღუდვაა საჭირო.

***– როცა ამ ძალაუფლებას აძლევდა ივანიშვილი, მაშინ არ უფიქრია, რომ გახარია შესაზღუდი გაუხდებოდა?***

– მოდით, ახლა ის ვთქვათ, გახარიას ამდენი უფლება ივანიშვილმა საკუთარი სურვილით მიანიჭა? რა თქმა უნდა, არა. მას უთხრეს, რომ ასე მოქცეულიყო და ისიც დათანხმდა.

***– ვინ უთხრა, რომ გახარიასთვის ამდენი ძალაუფლება მიეცა?***

– ვინ უთხრა, ვერ გეტყვით, გვარები არ ვიცი, მაგრამ ადგილი დანამდვილებით ვიცი, საიდანაც ეს ბრძანება წამოვიდა.

***– საიდან წამოვიდა?***

– საიდან და მოსკოვიდან.

***– დარწმუნებული ხართ?***

– ამაში ორი აზრი არ არსებობს. გახარიაზე ვაშინგტონს რომ მიეცა განკარგულება, ის უკვე მთავრობის მეთაური იქნებოდა.

ხელისუფლება ამბობს, რომ შს მინისტრი პოსტს არ დატოვებს. ეს დღეები სულ ამაზე ვფიქრობ, რამდენიმე დღის შემდეგ გახარიას გადადგომა შეიძლება უკვე დაგვიანებული იყოს.

***– რატომ იქნება დაგვიანებული?***

– მისმა თანამდებობაზე დარჩენამ შეიძლება ხალხის გადარიოს და აქ უმართავი პროცესები დაიწყოს. როგორც უკვე გითხარით, ბოკერია და მისი ხალხი რევოლუციის მოწყობის ოსტატები არიან და ხვალ და ზეგ აქ შეიძლება რევოლუციაც კი მოხდეს. ამ შემთხვევაში ხელისუფლების სათავეში კვლავ ბოროტი ძალა – ნაციონალური მოძრაობა მოვა.

***– ხალხი დაუშვებს ნაციონალების დაბრუნებას?***

– ხალხი „ოცნებაზე“ ძალიან გაბრაზებულია. 20-21 ივნისის ღამის შემდეგ მათ შორის ზღვარი წაიშალა. მიშას დროს უამრავი სისხლიანი დარბევა ყოფილა, მაგრამ პატარა გოგოებისთვის თვალები არ დაუთხრიათ.

იცით, ახლა რა ხდება? ხელისუფლება ბობოლა ნაცებს ვერაფერს უბედავს და პატარა გოგოებს სთხრის თვალებს.

ვუყურებდი კადრებს, თუ როგორ გამოდიოდა ეს თვალამოთხრილი პატარა გოგო საავადმყოფოდან და კინაღამ გული გამისკდა.

დარბევის კადრები შემთხვევით ნახა ჩემმა ბიჭმა და მითხრა, რომ გავიზრდები, პრეზიდენტი უნდა გავხდე და პოლიცია გავაუქმოო. ვკითხე, რატომ უნდოდა პოლიციის გაუქმება. მიპასუხა, რომ პოლიცია გოგოებს სცემს და ამიტომ.

აი, რა ქნა „ოცნებამ“, პატარა ბავშვებსაც კი შეაძულა პოლიცია.

# მამუკა ტუსკაძე: „ახალი სისტემით, დაახლოებით 7-8 პარტია შევა“

## მაჟორიტარული სისტემა უქმდება, მაგრამ, სამაგიეროდ, მაჟორიტარებს პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნისა და დარეგისტრირების საშუალება რჩებათ

გულიკო ბალაძე

რა შანსს აძლევს ახალბედა პარტიებს პოლიტიკურ ასპარეზზე „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის ინიციატივა საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით? – ამ თემაზე „ახალ თაობას“ იურისტი, პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ დამფუძნებელი **მამუკა ტუსკაძე** ესაუბრა.

***– ბატონო მამუკა, გარკვეული პოლიტიკური ბატალიების შემდეგ, რაც ქვეყანაში ბოლო დროს ვითარდებოდა, პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერმა განაცხადა, რომ მზად არის, რადიკალური პოლიტიკური ცვლილებები განახორციელოს, კონკრეტულად, საარჩევნო სისტემაში მომავალი არჩევნებისთვის. თქვენ როგორ შეხვდით ამ გადაწყვეტილებას? ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ მომავალი არჩევნები პროპორციული სისტემითა და ნულოვანი ბარიერით უნდა ჩატარდეს.***

– ბიძინა ივანიშვილის ეს გადაწყვეტილება სასიხარულო, მისაღები და მისასალმებელია ძალიან ბევრი მიზეზის გამო. დღეს საქართველოში პოლიტიკური სივრცე დახურულია. აუცილებელია, ახალი ძალები, ახალი სახეები შემოვიდნენ. არსებული სისტემით თავის გამოჩენის საშუალება არ არის. „შუა უნდა გაიკრიფოს“, ეს დევიზი დღეს, „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან 7 წლის შემდეგ, სრულიად არაადეკვატურია. ამიტომ ახალი პოლიტიკური სისტემა იყო შესაქმნელი.

ახალი პოლიტიკური სისტემის პირობებში ახალი პარტიები და პოლიტიკური ჯგუფები შემოვლენ, ახალი პოლიტიკური ლიდერები გამოჩნდებიან. ინტრიგები, ერთმანეთის დამარხვა და მსგავსი რამ ხელს უშლის, რომ ადამიანებმა თავიანთი შესაძლებლობები გამოაჩინონ.

აუცილებელი იყო, ამა თუ იმ პოლიტიკურ ორგანიზაციასა და ჯგუფს მიჰკედლებოდნენ. საარჩევნო სისტემის რეფორმა დაგვაყენებს იმ რეალობის წინაშე, რომ მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ პოლიტიკური ამბიცია და რესურსი, როგორც პიროვნული, ასევე ცოდნა და გამოცდილება, შეეძლებათ, დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა ან იყვნენ ბლოკში.

ეს ძალიან საინტერესო პროცესია. დაახლოებით 0,67%, დაახლოებით 12 ათასი ხმაა საჭირო მთელი საქართველოს მასშტაბით, რომ დაახლოებით ორი ადამიანი გაიყვანოს საქართველოს პარლამენტში.

***– ამ გზით, ალბათ, ჭრელ პარლამენტს მივიღებთ.***

– შეიძლება, ჭრელი პარლამენტი მივიღოთ, მაგრამ მაინც უკეთესია, რადგან 12 ათასი ხმა ძალიან ცოტა არ არის. დღევანდელ სისტემაში პარტიის შექმნასა და პარლამენტში მოხვედრას დიდი რესურსი სჭირდება. ახალი სისტემით, დაახლოებით 7-8 პარტია შევა და, ალბათ, 2-3 ფრაქცია იქნება.

***– ეს იყო ახალი სისტემის დადებითი მხარე. უარყოფითი მხარე თუ აქვს?***

– ამ სისტემას უარყოფითი მხარეც აქვს – მაჟორიტარული სისტემა უქმდება, მაგრამ, სამაგიეროდ, მაჟორიტარებს პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნისა და დარეგისტრირების საშუალება რჩებათ, შეუძლიათ, თავიანთი ფინანსური რესურსი გამოიყენონ, პოლიტიკური ორგანიზაციები შექმნან და არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა.

მაგალითად, ნინოწმინდის ოლქში პოლიტიკურ ორგანიზაციას ხმებიც ეყოფა. შესაბამისად, პოლიტიკური ორგანიზაცია მოხვდება საქართველოს პარლამენტში.

არის ასევე რეგიონული პარტიების შექმნის საშიშროება. მაგალითად, ნინოწმინდაში. ჩვენ უნდა შევეცადოთ და კანონში ჩავწეროთ დათქმა, რომ რეგიონული პრინციპით პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნა აკრძალული იყოს.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# გიგა ბუკია: „გახარიამ ქვეყანა გადაარჩინა და რატომ უნდა გადადგეს?“

## „პროპორციული სისტემა და ნულოვანი ზღურბლი გააპროტესტეს სააკაშვილმა და მისმა რუპორებმა“

მარიამ მჭედლიშვილი

შს მინისტრი გიორგი გახარია მზადაა, კვირის ბოლოს წარდგეს პარლამენტის წინაშე და გააკეთოს განმარტებები 20-21 ივნისის სისხლიან მოვლენებზე. საზოგადოების ნაწილი და ოპოზიცია ისევ მის გადადგომას მოითხოვს. ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის „კონსერვატორების“ ფრაქციის თავმჯდომარე **გიგა ბუკიას**.

***– არსებობს მოსაზრება, რომ გიორგი გახარიას პარლამენტში მისვლა მღელვარების ახალ ტალღას გააჩენს. თქვენ რას ელით?***

– იმ დროს, როცა ქვეყანაში გყავს დესტრუქციული ნაციონალური მოძრაობა, ყველაფერია მოსალოდნელი. ქვეყნის გარეთ მყოფი სააკაშვილისა და მისი მონებისთვის ამოცანა უცვლელია – მათ უნდათ რევანშის გზით ხელისუფლებაში მოსვლა. ამისთვის მათ შეიძლება შს მინისტრის პარლამენტში მოსვლაც გამოიყენონ. მათი მცდელობა უშედეგოდ დამთავრდება. ყველას, ვინც კანონიერების საზღვარს გადავა, საკადრისი პასუხი გაეცემა.

***– 20-21 ივნისსაც საკადრისი და პროპორციული იყო ძალოვნების პასუხი? იქნებ, ჯობდა, ამის შემდეგ გახარია გადამდგარიყო.***

– გახარიამ ქვეყანა გადაარჩინა და რატომ უნდა გადადგეს?! რატომ უნდა დავსაჯოთ ის, ვინც ქვეყნის წინაშე პირნათელია? ცუდია, რომ ამ მოქმედებების დროს ხალხი დაშავდა. ბოლო მონაცემებით, დაზიანებები მიიღო 95-მა პოლიციელმა. ამასთან, ერთს თვალები დაუზიანდა, ზოგს მოტეხილობა აღენიშნება.

პარლამენტთან იყვნენ რიგითი გულმოსული ადამიანებიც, მაგრამ ნაცმოძრაობა და მათ მიერ ორგანიზებული ჯგუფები იქ თეთრი ხელთათმანებითა და მანდილებით არ მისულან. ისინი კარგად იყვნენ მომზადებული პოლიციელებთან შესატაკებლად და პარლამენტის შტურმისთვის.

საპარლამენტო რესპუბლიკაში პარლამენტის შენობაში შეჭრა ხელისუფლების ძალით დამხობას ნიშნავს. სანამ პოლიცია მოქმედებაზე გადავიდოდა, 30 პოლიციელი სასტიკად იქნა ნაცემი. ყველამ ვიხილეთ, რომ დაიწყო პარლამენტზე იერიში, რომელიც უნდა აღკვეთილიყო და აღიკვეთა კიდეც.

***– ფიქრობთ, რომ ნაცმოძრაობა მაშინაც წინასწარ მომზადებული და ორგანიზებული იყო, როცა მართლმადიდებლობის საპარლამენტო ასამბლეის სხდომა დაიწყო და გავრილოვი პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდა?***

– არ ვიცი. რაც იყო, იყო. ამის გამო პასუხი აგო როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ, ისე ამ ფორუმის ორგანიზატორმა. კობახიძე გადადგა, ქუცნაშვილი პარლამენტიდან წავიდა. ერთადერთი, ვისაც ბოლო დროს პასუხი არ უგია, ნაცმოძრაობაა.

20 ივნისს თავიდან ჩვეულებრივი პროტესტი აგორდა, რომელსაც მოჰყვა 300-კაციანი შტურმის მცდელობა პარლამენტზე. ეს წახალისებული იყო ნაცმოძრაობისაგან. რატომღაც ნაციონალების ქმედებებზე არავინ ლაპარაკობს. ჩვენ, კონსერვატორები, მალე მოვითხოვთ ნაცმოძრაობის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას. თავისი დესტრუქციულობა სააკაშვილმა და მისმა ქვეშევრდომებმა ორშაბათსაც გამოიჩინეს, როცა ბიძინა ივანიშვილმა ხალხს საარჩევნო რეფორმა შესთავაზა.

***– მიტინგებზე, რომლებიც პარლამენტთან გრძელდება, საზოგადოებაა შეკრებილი. ხომ არ ფიქრობთ, რომ საქმე მარტო გავრილოვსა და დეოკუპაციის მოთხოვნაში არ არის და ხალხს უკმაყოფილება დაუგროვდა?***

– ჩვენ არც ვამტკიცებთ, რომ პარლამენტთან ნაციონალური მოძრაობა დგას. იქ არიან სხვადასხვა ადამიანები, ჯგუფები. წინსვლასთან ერთად, ჩვენ ბევრი სატკივარი გვაქვს. ეს ათწლეულობით დაგროვილი პრობლემებია. „ქართული ოცნება“, ეს ხელისუფლება ყველაფერს ამ დროში ვერ მოუვლიდა. ამიტომ, ხალხის უკმაყოფილება გასაგებია. ადამიანებს აქვთ შეკრების და პროტესტის გამოხატვის უფლება. მათ შეუძლიათ, მოითხოვონ ხელისუფლებისაგან პრობლემების

გადაჭრა. ჩვენზე ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოებშიც ხშირია ქუჩის პროტესტი.

***– „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ახალი საარჩევნო ინიციატივები წამოაყენა. რას ნიშნავს 2020 წელს საპარლამენტო არჩევნების პროპორციული წესით და ნულოვანი ბარიერით ჩატარება? ეს იდეა ბლოკების გაუქმებასაც გულისხმობს?***

– ბლოკები ამ სისტემით უქმდება. ესაა დიდი შესაძლებლობები პოლიტიკური პარტიებისათვის. წინა მოწვევის პარლამენტში ვიყავი მომხსენებელი საარჩევნო საკითხზე, რომელიც 2020 წლისთვის პროპორციული სისტემის შემოღებას ეხებოდა. მაშინ ნაცმოძრაობამ, ანუ საპარლამენტო ოპოზიციამ, ამას მხარი არ დაუჭირა და მოითხოვა მისი მაშინვე ამოქმედება. ოპოზიციამ ამ პარლამენტშიც არ მიიღო მონაწილეობა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში.

***– არც უმრავლესობის მაჟორიტარებმა დაუჭირეს მხარი 2020 წლისთვის პროპორციულ სისტემას.***

– მაჟორიტარებსაც ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდათ მაჟორიტარული არჩევნების გაუქმებაზე. ამით იმის თქმა მინდა, რომ ნაცმოძრაობა დესტრუქციული ძალაა. მას არც ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა უნდა და არც სხვა წარმატება. რაც უნდა შესთავაზო სააკაშვილს, ყველაფერზე ხელ-ფეხს იქნევს. როგორ შეიძლება პროტესტს იწვევდეს ნულოვანი ზღურბლი? ყველა პარტიას, ვინც 0,7%-ს დააგროვებს, პარლამენტში შესვლის საშუალება ეძლევა. პარტიებმა ეს დადებითად მიიღეს. ერთადერთი, ვინც ამას ეწინააღმდეგება, სააკაშვილია.

***– შალვა ნათელაშვილმა და ირაკლი ოქრუაშვილმაც მზაკვრობა დაინახეს ამ ინიციატივაში.***

– სააკაშვილის რუპორები სხვას რას იტყოდნენ! სააკაშვილს შემოკრებილი ჰყავს სატელიტები. მათი ბლოკი არ გამოვა. ქარდავას, დავითაიას და მათ ძმებს უნდა აწყობდეთ ახალი შემოთავაზება და თავიანთი ძალების მოსინჯვა. სააკაშვილი იმიტომ გაჯიქდა, რომ ცვლილებები და განვითარება არ უნდა. მას ურჩევნია, რომ ოპოზიციურ ველზე მარტო ნაცმოძრაობა იყოს. სააკაშვილისთვის პოლარიზაციაა პოზიტივი. მისთვის კარგია, როცა ადამიანს არჩევანი აქვს ჩვენსა (ხელისუფლებას) და სააკაშვილს შორის.

ჩვენთვის, კონსერვატორებისათვის, ეს წინადადებები მისასალმებელია. ამ სისტემით აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას არჩევნებში.

***– ოპონენტები აცხადებენ, რომ ივანი შვილი ამ წესით პარლამენტში მის მიერ კონტროლირებად პარტიებს შეიყვანს.***

– ესეც იმის დასტურია, რომ სააკაშვილს და მის რუპორებს ამ კარგი ინიციატივის წინააღმდეგ არგუმენტები არ გააჩნიათ. სადაა ლოგიკა? თუ ივანიშვილს ვინმეს შეყვანა უნდა, თავისი პარტიის სიაში ჩასვამს. ეს ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე რესურსების ხარჯვა მრავალრიცხოვან ორგანიზაციებზე.

# სოსო ცინცაძე: „ეს იყო „ოცნების“ ბართლომეს ღამე“

## „ნულოვანი ბარიერი ნიშნავს მარგინალი პოლიტიკოსებით დაკომპლექტებულ პარლამენტს“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს აფასებს.

***– ბატონო სოსო, როგორ შეაფასებთ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს? – გადადგეს გახარია და დაკავებული ახალგაზრდები გათავისუფლდნენ – ასეთია მოთხოვნები.***

– რასაც ხედავს უცხოეთი, ამას ვერ ხედავს „ქართული ოცნება“. პროცესების ადეკვატური თუ ვერ იქნები, მაშინ ბევრად უფრო მეტის გადახდა მოგიწევს. ასეთია კანონზომიერება. რეალურად რა მოხდა: გავრილოვი აღმოჩნდა დეტონატორი იმ უკმაყოფილების ასაფეთქებლად, რომელიც გროვდებოდა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში. სწორედ ეს უნდა გაიაზროს ხელისუფლებამ. ბართლომეს ღამე აღმოჩნდა „ქართული ოცნებისთვის“ ის ღამე, რასაკვირველია, პოლიტიკურად.

დღეს უკვე „ქართული ოცნება“ აღარ არის წინა ხელისუფლებასთან შედარებით უპირატესობაში. უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე ძალა დისკრედიტებულია. დღეს უკვე გვაქვს მოცემულობა, როდესაც არც ერთ პოლიტიკურ ძალას, არც ნაციონალურ მოძრაობას და არც „ქართულ ოცნებას“ აღარ შეუძლია თქვას, რომ ის ადამიანზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალაა. და საერთოდ, რაში სჭირდება ადამიანს ხელისუფლება, რატომ ქირაობს მას? იმიტომ, რომ სწორედ ადამიანს მოერგოს და ადამიანზე იყოს ორიენტირებული.

***– რამდენად დგას გახარიას პასუხისმგებლობა?***

– თითოეული პოლიციელი, როდესაც ინდივიდუალურად იღებს გადაწყვეტილებას, აქ შეუძლებელია, მინისტრის პასუხისმგებლობა დავინახოთ. აშავებს ინდივიდი და პასუხსაც აგებს ინდივიდი, მაგრამ, ხომ ჩნდება კითხვა, ვინ შეიძინა ტყვია, რომელიც დათვისთვის არის განკუთვნილი და რომელიც შეიძლება, ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათო აღმოჩნდეს.

რა საჭიროებისთვის შეიძინეს ეს ე.წ. რაკეტული ტყვიები, დიდი ზომის ვარდისფერ ტყვიებზე ვსაუბრობ. თუ ეს ტყვიები იყო შეძენილი საკუთარი მოსახლეობის დასაშლელად, ეს უკვე დანაშაულის შემცველია, რადგან ეს ტყვიები არ არის უსაფრთხო ადამიანის ჯანმრთელობისთვის და ამ შემთხვევაში უკვე მინისტრის პასუხისმგებლობა დგება და არა – რიგითი შემსრულებლის, პოლიციელის.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, გამოძიების საგანი უნდა გახდეს და, თუ ჩვენ ვართ საზოგადოება, ამ კითხვებზე ამომწურავი და ობიექტური პასუხები თავად სახელმწიფომ უნდა გაგვცეს.

დემონსტრაციების დაშლის დროს კი არა, ომის დროსაც კი არსებობს წესები, თუ როგორ უნდა ისროლო და ა.შ. არის განსაზღვრული, დადგენილი წესები, მაგალითად, ადამიანის სხეულის ადგილები, სადაც დამიზნებით სროლა აკრძალულია. ჩვენ კი ვიხილეთ თვალდათხრილი ადამიანები. ეს არ ჯდება არანაირ კანონსა და მორალში. რასაკვირველია, აქ პასუხისმგებლობა გარდაუვალია.

თქვენ მკითხეთ, უნდა გადადგეს თუ არა გახარია? მე ასე გიპასუხებთ: თუ სამოქალაქო მშვიდობა აღდგება და თუ ქვეყანა ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება, მაშინ ეს თვით შეწირვა გახარიამ უნდა გააკეთოს და ის უნდა გადადგეს. ეს პოლიტიკური ჟესტიც და გზავნილიც იქნებოდა ყოფილი და ყველა მომავალი მთავრობისთვის.

ბიძინა ივანიშვილი შეიძლება და არის კიდეც ძლიერი ბიზნესმენი, მაგრამ ის არ არის პოლიტიკოსი, მოყვარულის დონეზეც კი. მას უჭირს პოლიტიკური ლავირება, შეცდომას შეცდომაზე უშვებს, შემდეგ კი ახდენს რეაგირებას, მაგრამ უკვე – დაგვიანებულს.

***– როგორ შეაფასებთ მის პოლიტიკურ ნაბიჯს თუნდაც ნულოვან საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით?***

– ეს პოლიტიკური ნაბიჯი თავის დროზე შევარდნაძემ გადადგა. მაშინ ეს იყო სრულიად ნოვატორული და პოლიტიკურად სწორად გათვლილი ნაბიჯი. მე მაშინ ედუარდ შევარდნაძის სახელმწიფო მრჩეველი გახლდით და ყველა ნიუანსი ვიცი, თუ როგორ ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება.

მაშინ მოტივი იყო პოლიტიკური პროცესების ქუჩიდან პარლამენტში გადატანა. ეს იყო შევარდნაძის მიზანმიმართული გადაწყვეტილება.

დღეს ეს გადაწყვეტილება არათუ ნოვატორული არ არის, არამედ რისკების შემცველია. თუ ერთხელ გაამართლა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეორედაც გაამართლებს. ამიტომ ვუწუნებ ივანიშვილს სვლებს.

***– რა რისკებს ხედავთ?***

– დღეს თუ არის 360 პარტია, ხვალ, თუ ეს ინიციატივა კანონად იქცა, 600-700 პოლიტიკური პარტია გაჩნდება და ოჯახის წევრები, 200-300 კაცი ვისაც მხარს დაუჭერს, ის შევა პარლამენტში. ხომ წარმოგიდგენიათ, ეს რა შედეგებს მოგვცემს! დღევანდელი პარლამენტის დონე, რომელიც, ჩემი მეხსიერებით, ყველაზე დაბალი დონის არის, შეიძლება, სანატრელი გაგვიხდეს.

ნულოვანი ბარიერი ნიშნავს მარგინალი პოლიტიკოსებით დაკომპლექტებულ პარლამენტს. ეს იქნება ქვეყნისთვის კატასტროფა, მით უფრო, საპარლამენტო რესპუბლიკაში, სადაც მთავარი სახელმწიფო ორგანო პარლამენტია.

***– ივანიშვილის გათვლაც ხომ იგივეა, რაც თავის დროზე შევარდნაძის გათვლა იყო?***

– დღეს ეს აღარ გაამართლებს. მე არ გამოვრიცხავ, რომ ივანიშვილმა, მისმა პოლიტიკურმა მრჩევლებმა სწორედ შევარდნაძის ამ მაგალითით იხელმძღვანელეს, მაგრამ მაშინ პოლიტიკურად სხვა რეალობა და სულ სხვა დრო იყო. ამას ხომ აქვს მნიშვნელობა. ამიტომ ვამბობ, რომ პოლიტიკა დილეტანტურ მიდგომებს ვერ იტანს.

დღეს, როდესაც ტალეირანისა და ბისმარკის დონის პოლიტიკაზეა საუბარი, არ შეიძლება, პრიმიტიულ პოლიტიკურ სვლებზე იყო ორიენტირებული. ეს, იცით, დაახლოებით რას ჰგავს? – საქართველოში ტენდერი როდესაც ცხადდება და ერთი და ორი დღის შექმნილი კომპანიები რომ იღებენ კონკურსში მონაწილეობას, რომლებიც აზრზე არ არიან იმ სფეროში და ტენდერს იგებენ. დაახლოებით ამიტომ ვამბობ, რომ მთელი ეს პროცესი ბევრი რისკის შემცველია როგორც „ქართული ოცნების“ ხელისუფლების, ისე სახელმწიფოსთვის.

# კახა კუკავა: „20-21 ივნისს ხალხის დაზიანება 90% ნაციონალების ბრალია, 10% – გახარიასი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი **კახა კუკავა** პასუხობს

***– ბატონო კახა, საკმაოდ მძიმეა სიტუაცია. ოპოზიციის და საზოგადოების ნაწილის მთავარ მოთხოვნად ისევ შს მინისტრის, გახარიას გადადგომა რჩება. რას იტყვით თქვენ, უნდა გადადგეს გახარია?***

– გახარიას გადადგომის საკითხი ჩვენთვის არის მეასეხარისხოვანი. ჩვენთვის მნიშვნელოვანი არის ის, რომ ჩატარდეს არჩევნები პროპორციული წესით და ახალი პარლამენტი გადაწყვეტს, ვინ იქნება მინისტრი და ვინ არ იქნება. ბუნებრივია, რომ „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნები პოსტებზე ვეღარ დარჩებიან. რაც შეეხება მოთხოვნას, რომ ჯერ მთავრობა გადადგეს და მერე არჩევნები ჩატარდეს, ეს არის სრული აბსურდი.

***– რატომ?***

– ამან შეიძლება გამოიწვიოს არა მთავრობის შეცვლა, არამედ მთავრობის უფლებამოსილების გახანგრძლივება განუსაზღვრელი ვადით. გარდა ამისა, გახარიას გადადგომაზე ვენების გადაჭრა იმ პოლიტიკური ძალების მიერ, რომელიც ვანო მერაბიშვილს გვახსოვს, როგორ ადიდებდა და სად კოცნიდა, ახლა ეს მოთხოვნა იმის გამო, რომ ძალა იქნა გადაჭარბებული, რა თქმა უნდა, არაგულწრფელია.

***– რას ნიშნავს არაგულწრფელია?***

– მე პირადად ვიტყოდი, რომ დასაკონკრეტებელია, რაზე სთხოვენ გახარიას პასუხს? თუ გახარიას პასუხს სთხოვენ იმის გამო, რომ მოხდა ძალის გადამეტება, ეს უნდა იქნეს გამოძიებული, იმიტომ, რომ ძალის გადამეტებას ჰქონდა ცალკეული და გამონაკლისი ხასიათი და ჩვენ ვხედავდით, რომ როდესაც დაიწყო მიტინგის დაშლა, პოლიცია იქცეოდა საკმაოდ მოზომილად.

თუ გახარიას პასუხს სთხოვენ იმის გამო, რომ მან საერთოდ ძალა გამოიყენა და აღკვეთა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, ეს უკვე ღია ტექსტით საუბარია იმაზე, რომ დღეს გახარიას სჯიან იმის გამო, რომ მან არ დაუშვა რევანშისტული სამხედრო გადატრიალება, პარლამენტში შეჭრა. მე, რა თქმა უნდა, ამას არ ვიზიარებ, რომ ამის გამო გახარია უნდა დაისაჯოს, პირიქით.

***– ეს პოზიცია იშვიათია დღეს ოპოზიციურ რიგებში.***

– დიახ, ეს იყო სწორი ნაბიჯი, ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ძალა უნდა გამოეყენებინათ, ნაციონალური მოძრაობის შეჭრა პარლამენტში არ უნდა დაეშვათ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო მაქსიმალურად კანონის ფარგლებში, მაგრამ როდესაც საუბარია იმაზე, რომ 5 თუ 10 ათასი მომიტინგის წინააღმდეგ 5 ათასი პოლიციელის გამოყენება ხდება და ეს მომიტინგეები არ იშლებიან, არა მგონია, რომ რომელიმე ქვეყანაში შეძლოს პოლიციელმა ისეთი გარანტიების გაცემა, რომ საერთოდ არანაირი დაზიანება არ იქნება მომიტინგეებისთვის მიყენებული.

ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

რაც შეეხება იმას, რომ გახარიამ ვიღაცას დაავალა, რომ რეზინის ტყვიები და პლასტიკური ტყვიები თვალში უნდა ესროლათ, ეს არის აბსურდი. ასე რომ ყოფილიყო, ჩვენ გვეყოლებოდა არა ერთი და ორი, არამედ ასობით დაზიანებული, ისე, როგორც გვყავდა ხოლმე 7 ნოემბერს და 26 მაისს.

***– კადრებში ჩანს რომ დამიზნებით ესროდნენ.***

– რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ იქ რამდენიმე სპეცრაზმელმა მოახდინა ძალის გადამეტება, ამაზე სისხლის სამართლის საქმე აღძრულია და მეც ვფიქრობ, რომ სანიმუშოდ უნდა დაისაჯონ, მაგრამ როგორც ნაციონალური მოძრაობა საუბრობს, რომ გახარია უნდა დაისაჯოს, ისინი, ბუნებრივია, ითხოვენ გახარიას დასჯას არა იმის გამო, რომ იქ ვიღაცა კონკრეტულმა პოლიციელმა ძალა გადაამეტა, არამედ იმის გამო, რომ გახარიამ გაბედა და ხელი შეუშალა ნაციონალური მოძრაობის დაბრუნებას ხელისუფლებაში.

***– ამის მცდელობა იყო იმ დღეს?***

– რა თქმა უნდა! ჩვენ პირდაპირ ვნახეთ პარლამენტის შენობაზე შტურმის არაერთი შემთხვევა. ზუსტად მეორდება 1991 წლის მოვლენები, როდესაც მაშინდელი პუტჩისტები ჯერ ცდილობდნენ, რომ სწორედ ამ გზით, მაგრამ ეს რომ ვერ მოხერხდა, ვნახეთ, რა მეთოდებითაც ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება.

მაშინ უბრალოდ ზვიად გამსახურდიას მთავრობაში არ აღმოჩნდა გახარია და ის მთავრობა ვერ დაიცვეს. გახარიამ მიიღო ზომები და დღეს ის ისჯება სწორედ ამის გამო.

ის, რაც მოხდა 20 ივნისის ღამეს, ის ადამიანები, ვინც თვალი დაკარგეს და დაზიანდნენ, მათ თვალის დაკარგვაში და მათ დაზიანებაში, გახარიას პასუხისმგებლობა არის 10% და 90% ეს არის ნაცების ბრალი.

***– რატომ არის ნაცების ბრალი?***

– იმიტომ, რომ როდესაც მოუწოდებდნენ ხალხს, რომ არ დაიშალოთ და თავი შეუშვირეთ რეზინის ტყვიებსო, ეს ნაციონალებმა გააკეთეს! მე ძალიან კარგად მახსოვს, რომ აქციიდან 7 ნოემბერსაც ბოლო გამოვედი, სხვებთან ერთად მცემეს და 26 მაისსაც ბოლო გამოვედი, მაშინაც სხვებთან ერთად მცემეს. როდესაც ძალის გამოყენება იწყებოდა, ყოველთვის მოვუწოდებდით მომიტინგეებს, რომ წინააღმდეგობა არავისთვის არ გაეწიათ. ნაციონალური მოძრაობის წევრები კი მოუწოდებდნენ, არ დაშლილიყვნენ და თვითონ მიიმალნენ!

***– ისმის საყვედურები, თვითონ არ დაზიანებულანო.***

– ამ ბოლო დროს ხშირად ავლენენ პარალელებს 7 ნოემბერთან და 26 მაისთან და ორჯერვე ყველა ოპოზიციონერი ლიდერი ნაცემები ვიყავით. უმრავლესობას თავები ჰქონდათ გახლეჩილი. რა დღეში იყო ბიძინა გეგიძე, ლევან გაჩეჩილაძე, გია მაისაშვილი და საერთოდ მაგ ჭრილობას გადაყვა, დაეწყო ონკოლოგიური დაავადება.

ამ ნაციონალურ მოძრაობას რა მფარველი ანგელოზი დაჰყვებათ ამისთანა, რომ არც ერთს არც ტყვია მოხვდა, არც ხელკეტი, არც დაკავებულებში მოხვდნენ. ამიტომაც, რაც მოხდა 20 ივნისს, რა თქმა უნდა, იყო პოლიციის მიერ ძალის გადაჭარბება, მაგრამ ეს იყო 10%, 90% ეს იყო ნაციონალური მოძრაობის პასუხისმგებლობა. მათ დატოვეს ეს ახალგაზრდები დასახიჩრებულები და დაზიანებულები.

***– როგორ უნდა გამოვიდეთ ამ კრიზისიდან?***

– კრიზისიდან ვერ გამოვალთ ორი მარგინალური ძალის დაპირისპირების პირობებში. ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი მხრივ არის მარგინალური, ტერორისტული ძალა – ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც უნდა, რომ 90-იან წლებში დაგვაბრუნოს, ზუსტად იგივეს მცდელობაა, რომ რუსთაველის გამზირზე, ქუჩაში მიიტაცოს ძალაუფლება!

მეორე მხრივ არის ხელისუფლება, რომელიც ბოლომდე ატროფირებულია. აქამდე რომ მოვედით, ეს სწორედ ხელისუფლების ბრალია.

ამიტომ ვამბობ, რომ გახარიაზე ჯოხის გადატეხა არასწორია, რადგან პოლიტიკურ პროცესს გახარია არ მართავდა. ვინც ამ პროცესს მართავს წლებია, მათ მიიყვანეს აქამდე ეს ვითარება, რომ საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის აღიმართა ეს ყრუ კედელი.

ის, რაც 20 ივნისს მოხდა, რა თქმა უნდა, ხელისუფლების ბრალია. უბრალოდ, პოლიციის დადანაშაულებაა უსამართლობა, რადგან მან ძალადობრივი მოქმედებები აღკვეთა, თორემ პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ეკისრება მთლიანად ხელისუფლებას!

***– გაკეთდა განცხადება, რომ გადავდივართ პროპორციულ სისტემაზე, თუმცა ნულოვანი ბარიერით. ამაზე რა პოზიცია გაქვთ?***

– ეს არის ძალიან კარგი და ეს არის მიღწევა. ეს არის შანსი, რომ მომავალი პარლამენტი იყოს მრავალპარტიული და ჩვენ აღარ გვეყოლება ერთპარტიული მთავრობა. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოში იწყება ახალი პოლიტიკური ერა და ვისაც უნდა, რომ ეს არ დაუშვას, ყველა არის, თუ ქვეყნის მტერი არა, დესტრუქციული ძალა. ვინც დღეს ცდილობს, რომ საქართველოში ერთპარტიული ქოცური მთავრობის ნაცვლად მოვიდეს ერთპარტიული ნაცური მთავრობა, ყველა არის საქართველოს მტერი.

***– სიტუაციის დამშვიდების მიზნით გაწირავენ გახარიას?***

– იცით რა, ნამდვილად სწორად დასვით ეს შეკითხვა. გაწირავენ თუ არა, ანუ შესწირავენ თუ არა, ჭადრაკის ენაზე რომ ვთქვათ, ეს მეორე საკითხია. მე ოპოზიციის მხარეს ვარ და ვარწმუნებ ოპოზიციურ ძალებს, რომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ შეთანხმების გზით წავიდეს პროცესი.

ამისთვის ხელისუფლებამაც ყველაფერი უნდა გააკეთოს. კომპრომისს როცა ეძებ, ხანდახან შესაძლოა, ისეთი რამეც გააკეთო, რაც საჭიროდ არ მიგაჩნია. ამაზე ხელისუფლება უნდა დაფიქრდეს.

მივმართავ ხელისუფლებას, რომ ყველაფერი გააკეთეთ იმისთვის, რომ არჩევნებამდე მშვიდობიანად მივიდეთ. დღეს ნაცმოძრაობა იქცევა, როგორც მხედრიონი. გაცემულია ბრძანება, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ქუჩებში დესტაბილიზაცია არ უნდა დამთავრდეს.

შესაბამისად, ხელისუფლების ამოცანა უნდა იყოს, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ქუჩებში დესტაბილიზაცია უნდა დამთავრდეს!

# მამუკა ჭუსკაძე: „ახალი სისტემით, დაახლოებით 7-8 პარტია შევა“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

მართალია, კონსტიტუციით რეგიონული ორგანიზაციების შექმნა აკრძალულია, მაგრამ, თუ რეგიონების შესახებ კანონსა და საარჩევნო კანონში ცალსახად არ ჩაწერთ, რომ არ შეიძლება, შეიქმნას პარტია, თუ მას საქართველოს ათივე რეგიონში არ ექნება შტაბები, პრობლემები გვექნება, რეგიონული პრინციპით შექმნილ პარტიებს მივიღებთ.

***– რა საშიშროებას ხედავთ?***

– რეგიონული პრინციპით შექმნილი პარტიები ქვეყნის უსაფრთხოებისთვის არის საშიში. ამიტომ ქვეყნის უსაფრთხოება წინ უნდა დადგეს.

***– თქვენ ახლა მაჟორიტარების მიერ პარტიების შექმნის საშუალებაზე ისაუბრეთ. ელოდებით, რომ პოლიტიკურ ველზე ახალი პარტიები და ახალი სახეები შემოვლენ?***

– მასობრივად შეიქმნება ახალი პოლიტიკური ორგანიზაციები. საქართველოში ამბიციური ხალხი ცხოვრობს. ეს ცუდი არ არის, ბევრი გააკეთებს ამას, მაგრამ საშიშროებაც უნდა გავითვალისწინოთ და რეგიონული პრინციპით პარტიების შექმნა არ უნდა დავუშვათ. ყველანაირად უნდა შევეცადოთ, რომ საქართველოს უსაფრთხოება არ დაირღვევს, ტერიტორიული მთლიანობა არ დაირღვევს, ოკუპაცია არ გაგრძელდეს.

ჩვენ გავივლით ბეწვის ხიდზე რეგიონული პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნის საფრთხის თვალსაზრისით. იმავე ჯავახეთს ძალიან მდიდარი პოლიტიკური ლიდერები ჰყავს. მაჟორიტარების საფუძველზე შეიქმნება ახალი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც საქართველოს პარლამენტში შევლენ.

მაჟორიტარს დაარქმევ თუ ერთი-ორი კაცის პარტიას, ადვილად შეძლებს პარლამენტში შესვლას და იქნება რეგიონული პარტიის წარმომადგენელი. მაგალითად, თუ კანონში გარკვევით არ იქნება ჩაწერილი, რა არის დაშვებული და რა – არა, საქართველოში მივიღებთ სომხების პოლიტიკურ პარტიას, აზერბაიჯანელების პოლიტიკურ პარტიას და ა.შ ამიტომ კანონში უნდა ჩავწეროთ, რომ ნებისმიერ პარტიას საქართველოს ათივე რეგიონში პოლიტიკური ორგანიზაცია და შტაბები ჰქონდეს.

***– ახალდაფუძნებულ პარტიას არსებულ პოლიტიკურ სისტემაში შანსი არ ჰქონდა, რომ, ვთქვათ, პარლამენტში წარმომადგენელი გაეყვანა?***

– არსებულ პოლიტიკურ სისტემაში არა მარტო ახალდაფუძნებულ პარტიას, არამედ ძველებსაც უჭირდათ. არსებულ პოლიტიკურ სისტემაში ახალი ლიდერების წარმოჩენა რთული იყო, რადგან ორ პოლიტიკურ ძალას სივრცე გადანაწილებული ჰქონდა.

ვერ ხერხდებოდა ბიძინა ივანიშვილთან ან მიხეილ სააკაშვილთან კომუნიკაცია, რომ ახალი პოლიტიკური ლიდერებისათვის რაღაც საშუალება მიეცათ. მათ მონოპოლიზებული ჰქონდათ პოლიტიკური სივრცე. როგორმე უნდა მიგეღწია მიხეილ სააკაშვილამდე ან ბიძინა ივანიშვილამდე, მინიმუმ, კონსულტაცია უნდა გქონოდა, რა შეხედულებები გაქვს ადამიანს, ახალ პოლიტიკურ ლიდერს ჩვენი ქვეყნის განვითარების ამა თუ იმ სფეროში.

დღეს ახალგაზრდა პოლიტიკურ ლიდერებს აღარ გვჭირდება ბიძინა ივანიშვილთან ან მიხეილ სააკაშვილთან კომუნიკაცია, ხალხის ხმაზე ვიქნებით დამოკიდეული. 12 ათასი ხმა მოგვცემს საშუალებას, პოლიტიკურ სივრცეში ადგილი დამოუკიდებლად დავიმკვიდროთ, რაც აქამდე სრულიად შეუძლებელი იყო. მაჟორიტარული სისტემის არსებობა კატასტროფა იყო ახალი ლიდერების, ახალი ძალებისთვის.

# ლარის გაუფასურება ისტორიულ მაქსიმუმზეა

ლარმა გაუფასურების ისტორიული მაქსიმუმი დააფიქსირა. ეროვნული ვალუტა გაუფასურებას განაგრძობს.

გუშინBloomberg-ის სავაჭრო პლატფორმაზე 12:55 საათზე ერთი დოლარი 2,8350 ლარად ივაჭრებოდა. მოგვიანებით, საერთაშორისო სავაჭრო პლატფორმაზე ლარი მცირედით გამყარდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, დღეს ერთი აშშ დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.7945 ლარია. რაც შეეხება ევროს, მისი კურსი 3.1838 ლარია.

ვალუტის გადამცვლელ ჯიხურებში 1 დოლარი 2.284 ლარად ივაჭრებოდა.

ვალუტის ბაზარზე შექმნილი „პანიკით“ ხსნიან დოლარის გაძვირებას სავალუტო ჯიხურების მფლობელები. როგორც ამბობენ, ბევრი თავს იკავებს აშშ დოლარის გაყიდვისგან და კიდევ უფრო გაძვირებას ელოდება.

შედარებით განსხვავებულია კომერციულ ბანკებში არსებული კურსი. „თიბისი ბანკში“ 1 აშშ დოლარის ყიდვა 2,8750 ლარადაა შესაძლებელი, ხოლო მისი გაყიდვა – 2,7750 ლარად. „საქართველოს ბანკში“ 1 დოლარის ღირებულება 2,8710 ლარია, მისი გაყიდვა კი 2,78 ლარადაა შესაძლებელი.ექსპერტები ეროვნული ვალუტის გაუფასურების მთავარ მიზეზად (სხვა პრობლემებთან ერთად) მოლოდინებს ასახელებენ.

ამ ფონზე ხელისუფლება და ეროვნული ბანკი დუმს და განმარტების გაკეთებას საჭიროდ არ მიიჩნევს.

„კომერსანტი“ შეეცადა თუნდა მცირედი განმარტების მოპოვებას ეროვნული ბანკიდან, ფინანსთა სამინისტროდან, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტიდან, მათ შორის დავურეკეთ და ესემესი მივწერეთ პარლამენტის ვიცესპიკერს, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრ არჩილ თალაკვაძეს, თუმცა, ამ დრომდე ჩვენს შეკითხვას არავინ პასუხობს.

**კომერსანტი**

# ყაზბეგში მუსიკალური ფესტივალი დაარბიეს

24 ივნისს, დილით, ყაზბეგის მცხოვრებლებმა ფესტივალ „მაუნთიინ სეთის“ ტერიტორია დაარბიეს.

დაზიანებულია ინფრასტრუქტურა და დაშავებულია სტაფის რამდენიმე წევრი.

– მიუხედავად იმისა, რომ ზარალი ძალიან დიდია, ყველა ღონეს ვხმარობთ, რათა ფესტივალი არ გაუქმდეს.

ამის შესახებ ყაზბეგში მუსიკალური ფესტივალის ორგანიზატორის „მაუნთიინ სეთის“ განცხადებაშია აღნიშნული, რომლითაც ორგანიზატორები ყაზბეგში მომხდარ ინციდენტებს ეხმაურებიან.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ მომხდარი ფაქტი საფრთხეს უქმნის და აზიანებს არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ ფესტივალს, არამედ ქვეყნის იმიჯს, სერიოზულ დარტყმას აყენებს ტურიზმს და ლახავს თითოეული მოქალაქის უფლებას.

– ვიზიტორებისა და ზოგადად ფესტივალის უსაფრთხოებიდან გამომდინარე კომპრომისზე წავედით ადგილობრივ მოსახლეობასთან და ადგილობრივი პოლიციასთან და მერთან შეთანხმებით ფესტივალი სტეფანწმინდიდან გადავიტანეთ ბიდარაში, რაც დასახლებული პუნქტიდან არის დიდი მანძილით დაშორებული. თუმცა ამან შედეგი მაინც არ გამოიღო და სამწუხარო ფაქტის წინაშე მაინც აღმოვჩნდით.

ფესტივალი, რომელიც ყველა კანონის დაცვით და ყველა შესაბამის სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმებითაა ორგანიზებული, არ შეიძლება ჩაიშალოს ადამიანების გარკვეული ჯგუფის პირადი, არაჯანსაღი და დამამცირებელი აზრის გამო.

სამწუხაროდ, აქ არ ცნობენ, პატივს არ სცემენ, არ აღიარებენ სახელმწიფო ინსტიტუციებს. შესაბამისად, სამართლებრივ სახელმწიფოსა და კანონის უზენაესობაზე საუბარი ზედმეტია.

ვთვლით, რომ მომხდარი ფაქტი საფრთხეს უქმნის და აზიანებს არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ ფესტივალს, არამედ ქვეყნის იმიჯს, სერიოზულ დარტყმას აყენებს ტურიზმს და ლახავს თითოეული მოქალაქის უფლებას, – ნათქვამია განცხადებაში.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის, ალექსანდრე ზაგაშვილის განცხადებით, ფესტივალის ტერიტორიის დარბევის საქმეზე გამოძიება დაიწყო.

როგორც მერმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ტერიტორიაზე, სადაც ფესტივალი უნდა გამართულიყო, მოსახლეობასა და ფესტივალის ორგანიზატორებს შორის ინციდენტი მოხდა, დაზიანდა მუსიკალური ფესტივალის ჩატარებისთვის განკუთვნილი ტექნიკაც.

– მოსახლეობის მხრიდან პროტესტი გამოითქვა და ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა. დაფიქსირდა კერძო საკუთრების დაზიანების ფაქტი, რაც ცუდია. როგორც ვიცი, გამოძიება მიმდინარეობს, მოსახლეობა ფესტივალის ჩატარების თაობაზე ინფორმირებული იყო, თუმცა ამას ჰქონდა წინაპირობები. სოციალურ ქსელებში რაღაც ჯგუფისგან შეურაცხმყოფელი პოსტები ვრცელდებოდა მოსახლეობის მისამართით, რამაც პროვოცირება მოახდინა.

ინციდენტთან დაკავშირებით ადგილზე ვიმყოფებოდით, ასევე მერიაშიც გვქონდა შეხვედრა, უშუალოდ ფესტივალის ორგანიზატორებთან. მთელი დღე იქ ვიყავით, ჩვენი ჩასვლის დროს ადგილზე გარკვეულ ინციდენტს ჰქონდა ადგილი. როგორც ვიცი, ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა, აღნიშნული ფაქტი მოხდა ბიდარის ტერიტორიაზე, რომელიც ყაზბეგის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის, – განაცხადა ალექსანდრე ზაგაშვილმა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით – 177-ე მუხლით, რაც ქურდობას გულისხმობს და 187-ე მუხლით, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას გულისხმობს მიმდინარეობს.

## სისხლიანი დაპირისპირება „ოცნების“ წევრის მონაწილეობით

### ბათუმში მერიის ყოფილი თანამშრომელი დაჭრეს



ბათუმში მერიის ყოფილი თანამშრომელი ალეკო თევზაძე დაჭრეს. მას ჭრილობები თავისა და ხელის არეში, სავარაუდოდ, ცივი იარაღით აქვს მიყენებული.

გავრცელებული ინფორმაციით, სისხლიან გარჩევაში აჭარის უმაღლესი საბჭოს ყოფილი დეპუტატიც მონაწილეობდა. იგი ამჯერად „ქართული ოცნების“ წევრია.

თევზაძის თქმით, უკმაყოფილება ბათუმში ქიმიური ტერმინალის მშენებლობას მოჰყვა. ალეკო თევზაძე ქიმიური ტერმინალის მშენებლობის წინააღმდეგ გამართული აქციების ორგანიზატორი იყო.

დაჭრის ფაქტზე დაკავებულია 2 პირი. მათ გამოძიება იარაღის გამოყენებით ხულიგნობის ჯგუფურად ჩადენას ედავება.

## ზუგდიდის ყოფილ მერსა და ვიცემერს 2-2 წელი მიესაჯათ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყოფილი მერი ლაშა გოგია და ვიცემერი გია გულორდავა სასამართლომ დამნაშავედ ცნო. მათ ორ-ორი წლით თავისუფლების აღკვეთა და ოთხ-ოთხი წლით პირობითი მსჯავრი შეეფარდათ.

ზუგდიდის ყოფილ მერი და ვიცე მერი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის ჯგუფურად აღების ბრალდებით გასული წლის ნოემბერში დააკავეს.

ამავე საქმეში დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის დაკავებული იყვნენ მერიის მაღალჩინოსანი თენგიზ ქობალია და ხუტა ბაღათურია.

## ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა ფალსიფიცირებული და უაქციზო საქონლის შენახვა-რეალიზაციის ფაქტები გამოავლინა

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა ფალსიფიცირებული და უაქციზო საქონლის შენახვა-რეალიზაციის ფაქტები გამოავლინა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა, ბათუმში, გონიოს დასახლებაში განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიებების შედეგად, აქციზური მარკის სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული, საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-რეალიზაციის ფაქტები და ასევე ყალბი აქციზური მარკები გამოავლინეს.

– შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კაფე-რესტორან სტამბულსა“ და კაფე-რესტორან „ილდიზში“ დათვალიერების პროცედურის შედეგად დადგინდა, რომ აქციზური მარკის სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის – სხვადასხვა დასახელების სპირტიანი სასმელის (ჯამში 185 ბოთლი) აქციზური მარკის გარეშე შენახვა-რეალიზაციას ახდენდნენ.

ასევე გადამხდელს, ორივე ობიექტში, იჯარით აღებული რესტორნის კონკრეტული ოთახები ფალსიფიცირებული არყისა და ვისკის ჩამოსასხმელად ჰქონდა მოწყობილი.

ამავე ოთახში, ჯამში 410 ცალი, ყალბი აქციზური მარკები იქნა აღმოჩენილი, რომლებიც გადაღებული იყო ფერადი ქსეროქსის აპარატით და გამოიყენებოდა ფალსიფიცირებულ სპირტიან სასმელებზე დასაკრავად. ასევე შ.პ.ს „კაფე-რესტორან სტამბულის“ დათვალიერების შედეგად, გამოვლენილი იქნა მარკირებას დაქვემდებარებული მინერალური წყალი „ავანტე“ (1 146 ბოთლი) შესაბამისი მარკირების გარეშე. ფაქტზე შედგენილ იქნა შესაბამისი საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამასთან, გამოვლენილი სამართალდარღვევები, ქვემდებარეობით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის აჭარისა და გურიის სამმართველოს გადაეცა. ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება.

იმავე დღეს, განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიებების შედეგად, ინდივიდუალური მეწარმე ნაგიჰან ქოიუნის კუთვნილ რესტორანში მარკირებას დაქვემდებარებული მინერალური წყალი „ავანტე“ შესაბამისი მარკირების გარეშე აღმოაჩინეს.

საქმეზე შედგა შესაბამისი საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი.

ასევე, შპს „მერჯანის“ კუთვნილი ღამის კლუბის დათვალიერების პროცედურის შედეგად, აქციზური მარკის სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული, საქონლის – სპირტიანი სასმელის, აქციზური მარკის გარეშე შენახვა-რეალიზაციის ფაქტი გამოვლინდა. საქმეზე შედგენილია შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი.

მასალები ქვემდებარეობით შესაბამის სასამართლოს გადაეგზავნა.

## ნარკოტიკული საშუალების უკანონო გადატანა-გადაზიდვის ბრალდებით სომხეთის მოქალაქეა დაკავებული

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1977 წელს დაბადებული ა.ხ., ნარკოტიკული საშუალების უკანონო გადატანა-გადაზიდვის ბრალდებით, საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგის“ ტერიტორიაზე დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, ჩადენილი დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– გამოძიებით დადგინდა, რომ შემოსავლების სამსახურის მებაჟეებმა მიმდინარე წლის 25 ივნისს დარიალის საბაჟო-გამშვებ პუნქტში რუსეთიდან სომხეთის რესპუბლიკის მიმართულებით მიმავალი ავტობუსი შეაჩერეს. ნივთების შემოწმების შედეგად ამავე ავტობუსში მოთავსებულ „ჰოვერბორდში“ 500 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება, სავარაუდოდ, კოკაინი აღმოაჩინეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ნარკოტიკული საშუალების უკანონო გადატანა-გადაზიდვას გულისხმობს, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

## ავჭალაში ავარიას რუსთაველი მარიამ ყველიაშვილი და მისი 6 წლის შვილი ემსხვერპლნენ

22 ივნისს ავჭალაში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას რუსთაველი ქალი მარიამ ყველიაშვილი და მისი მცირეწლოვანი შვილი ემსხვერპლნენ.

მსუბუქი ავტომობილი გაჩერებულ სატვირთო მანქანას შეეჯახა. შედეგად ადგილზე გარდაიცვალა მსუბუქ ავტომობილში მყოფი ქალი, მარიამ ყველიაშვილი, რომელიც საჭეს მართავდა.

მისი მეუღლე და 6 წლის შვილი საავადმყოფოში გადაიყვანეს. სამწუხაროდ, ბავშვის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

მეუღლის მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია.

მარიამი დაოჯახებამდე რუსთავის მე-8 მიკრორაიონში ცხოვრობდა და სკოლა „საუნჯეში“ სამოქალაქო განათლებას ასწავლიდა, თბილისში გადასვლის შემდეგ კი გლდანის N209 სკოლაში მუშაობდა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს.

## ლანჩხუთში ახალგაზრდამ თავი ჩამოიხრჩო

ლანჩხუთში ახალგაზრდამ თავი ჩამოიხრჩო.

დაღუპული ბიჭი დედამ იპოვა, ხოლო რა გახდა სუიციდის მიზეზი, ჯერჯერობით უცნობია.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

# რუსეთი პასე-ში დაუბრუნეს

ევროპის საპარლამენტო ასამბლეის (პასე) სხდომა უჩვეულოდ მღელვარე გამოდგა. დებატები გვიან ღამემდე გაგრძელდა. მიუხედავად ამისა, დეპუტატების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა რუსეთის დელეგაციის პასე-ს ივლისის სესიაზე დაშვებას.

საამისოდ რუსეთს არავითარი პირობა არ წაუყენეს, არც ოკუპირებული ყირიმის უკრაინისთვის დაბრუნება, არც დატყვევებული უკრაინელი მეზღვაურების გათავისუფლება. არავინ მიაქცია ყურადღება იმასაც, რომ დონბასში ომი გრძელდება, რუსეთის ციხეებში კი უამრავი უკრაინელი პოლიტიკური პატიმარია.

პასე-ში უკრაინული დელეგაციის ხელმძღვანელმა არიევმა განაცხადა, რომ პასე-ს სახსრები შემოაკლდა, რუსეთი კი ფულის უმთავრესი შემომტანი იყო. ხსენებული გადაწყვეტილების მიღებაც ამან განაპირობა.

– ასეთი გადაწყვეტილება პასე-ს ავტორიტეტს დაბლა სცემს, – ამბობს არიევი.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ელენე ზერკალი აცხადებს, რომ ევროპამ აგრესორის დაშოშმინების ტაქტიკა აირჩია. მიღებული გადაწყვეტილება ძალზე მოგვაგონებს მიუნხენის შეთანხმებას, როცა ევროპამ ჩეხოსლოვაკია ჰიტლერელებს დაუთმო.

– ამით რუსეთი კი არ დაშოშმინდება, არამედ კიდევ უფრო აგრესიული გახდება! ევროპაშიც ფართომასშტაბიანი ომის საფრთხე გაიზარდა, – თქვა ზერკალმა.

სააგენტო „უნიანი“ აქვეყნებს იმ ქვეყნების სიას, რომლებმაც რუსეთის პასე-ში დაბრუნებას მხარი დაუჭირეს. მათ შორის არიან გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ისლანდია, თურქეთი, სერბეთი, ნორვეგია.

წინააღმდეგნი წავიდნენ უკრაინა, საქართველო, პოლონეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი.

პასე-ს სკანდალურმა გადაწყვეტილებამ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. მედიაში ნეგატიური კომენტარი აშკარად სჭარბობს. ყველა პასუხისმგებელი პოლიტიკოსი აცხადებს, რომ ეკონომიკურმა ინტერესებმა დემოკრატიის პრინციპები გადაწონა.

– ეს ისეთივე სკანდალური გადაწყვეტილებაა, როგორც თავის დროზე იყო პეტლიურას მკვლელის შვარცბარდის გამართლება პარიზული სასამართლოს მიერ, – ასეთია პოლონეთის რადიოს კომენტარი.

„დოიჩე ველე“ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ რუსების დაბრუნების საკითხი ბოლომდე ჯერ არ არის გადაწყვეტილი. უკვე ოცდაათმა ქვეყანამ ხელი მოაწერა პეტიციას ხსენებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე.

თანახმად პასე-ს რეგლამენტისა, ეს უნდა განიხილონ მანამ, სანამ პეტიციაზე პასუხი გაიცემა. რუსული დელეგაცია ჯერჯერობით სხდომებს ვერ დაესწრება.

ასე რომ, რუსული დელეგაციის დაბრუნების საკითხი ბოლომდე ჯერ არ არის გადაწყვეტილი.

# აშშ-მ ირანის წინააღმდეგ დამატებითი სანქციები შემოიღო

ირანში აშშ-ის ჯაშუში სიკვდილით დასაჯეს

პრეზიდენტმა ტრამპმა ხელი მოაწერა დოკუმენტს ირანის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების შემოღების თაობაზე.

სანქციებს ირანის უმაღლესი თანამდებობის პირების, მათ შორის ალი აიათოლას წინააღმდეგაც შემოიღებენ.

აღნიშნულმა სანქციებმა ირანის ეკონომიკაზე გავლენა უნდა იქონიოს და აიძულოს თეირანი, აგრესიული პოლიტიკა შეცვალოს.

– სანქციები როგორც ახლო აღმოსავლეთში, აგრეთვე ნავთობტანკერებზე თავდასხმის ფონზეა მიღებული. მათ მიზანია არა ომი, არამედ მშვიდობის უზრუნველყოფა, – ამბობს ტრამპი.

ამასობაში ირანში სისრულეში იქნა მოყვანილი განაჩენი ჰაჯი ზაჰარის მიმართ. მას ბრალად აშშ-ის სასარგებლო აგენტობა დასდეს.

– ზაჰარი ცსს-ს აგენტია, – ამტკიცებს ირანული მედია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მეგან მარკლმა ნიშნობის ბეჭედი გადაადნო

ბრიტანეთის სამეფო ოჯახის თაყვანისმცემლებმა შენიშნეს, რომ სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლის ნიშნობის ბეჭედმა ცვლილება განიცადა.

ოქროს ბეჭედს, რომელიც პრინცმა ჰარიმ თავის საცოლეს ქორწილის წინ აჩუქა, თავდაპირველად სამი ბრილიანტის თვალი ამშვენებდა. ერთ-ერთი ჩამოტანილი იყო ბოტსვანიდან, ხოლო დანარჩენი ორი პრინც ჰარის დედას, პრინცესა დიანას ეკუთვნოდა. ყოველწლიური აღლუმის დროს, რომელზეც მეგან მარკლი მშობიარობის შემდეგ პირველად გამოჩნდა საზოგადოების წინაშე, ფანებმა ყურადღება სასექსის ჰერცოგინიას ნიშნობის ბეჭედის ცვლილებას მიაქციეს. ის უფრო თხელი გახდა და მასზე წვრილი ძვირფასი ქვები გაჩნდა.

ბრიტანელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ ჰერცოგინიამ ბეჭედი გადაადნო იმისთვის, რომ მისი ზომა გაეზარდა, ვინაიდან ფეხმძიმობის დროს თითები დაუსივდა. გარდა ამისა, ფეხმძიმობის დროსვე ის არაერთხელ შეუნიშნავთ სხვადასხვა ღონისძიებაზე ნიშნობის ბეჭდის გარეშე.

# ელისაბედ II სასახლიდან გაიქცა

დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II-მ ბუკინჰემის სასახლე ვირთხების შემოსევის გამო დატოვა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

კერძოდ, ვირთხები შენიშნეს სამზარეულოში. სასახლეში, რომელიც 1703 წელს აშენდა, გამოიძახეს მავნებლებთან ბრძოლის სპეციალისტები. სასახლის მომსახურე პერსონალს ჩაუტარეს ინსტრუქცია და განუმარტეს, თუ როგორ უნდა მოხდეს ვირთხების გავრცელების აღკვეთა: აუცილებელია კარადების დაკეტვა და ნამცეცების მოშორება.

გამოცემა ხაზგასმით აღნიშნავს, მღრღნელები უდიდეს პრობლემას წარმოადგენს მთლიანად ლონდონისთვის. ეს განსაკუთრებით ძველ ნაგებობებს ეხება.

# ალმზრდელმა მოუსვენარი ბავშვები მცხუნვარე მზის გულზე გამოყარა

ჩინეთის ფუცზიანის პროვინციის ჩჟანჩჟოუს ოლქში საბავშვო ბაღის აღმზრდელი ორი მოუსვენარი ბავშვის დასჯის გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს.

ინციდენტი გასულ კვირას მოხდა. ორი ბავშვი წყნარი საათის დროს სხვებს დაძინებაში ხელს უშლიდა. დასჯის მიზნით აღმზრდელმა ისინი მცხუნვარე მზის ქვეშ სათამაშო მოედანზე გაიყვანა, სადაც ჰაერის ტემპერატურა 33 გრადუსს აღწევდა. სოციალურ ქსელებში გავრცელებულ კადრებში ჩანს, რომ ბიჭი მიწაზე წევს, ხოლო გვერდით მდგომ გოგონას ოდეალა უჭირავს ხელში.

აღნიშნულმა ვიდეორგოლმა სოციალური ქსელის მომხმარებელთა შორის აღშფოთება გამოიწვია. მეორე დღესვე ჩჟანჩჟოუს ოლქის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ ქალი გვარად გო სამსახურიდან დაითხოვეს, ხოლო საბავშვო ბაღი დახურეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**შეეისყიდით წიგნებს!**

● შეეიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# გურამ თუშიშვილმა ფინალში რუს ძიუდოისტს მოუგო

## საქართველო მინსკში არ ხუმრობს

მინსკის მეორე ევროპული თამაშები ქართველებისთვის ტრიუმფალურად გრძელდება. მე-4 საშეჯიბრო დღეს საქართველოს დელეგაციამ მედლების რაოდენობა 20-მდე გაზარდა და საერთო გუნდურ ჩათვლაში კვლავ მე-3 ადგილს ინარჩუნებს. ეს ფანტასტიკური შედეგია. თუმცა, ვხვდებით იმასაც, რომ ამ შედეგს ბოლომდე ვერ შევინარჩუნებთ.

უნდა ითქვას, რომ მე-4 დღეს მედლები ისეთ სახეობებშიც მოვიპოვეთ, სადაც არ ველოდით – ტყვიის სროლასა და ბატუტზე ხტომაში.

წარმატებულ სვლას საფუძველი ჩაუყარეს ტყვიის მსროლელებმა. შერეულ წყვილებში მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრზე სროლაში დედა-შვილ ნინო სალუქვაძეს და ცოტნე მაჭავარიანს საკვალიფიკაციო სროლებისას 364 ქულით მეორე შედეგი ჰქონდათ, ნახევარფინალში (172 ქულა) მესამე შედეგი აღმოაჩნდათ, ბრინჯაოს ფინალში 87,7 ქულით კი ევროპული თამაშების მე-3 ადგილი დაიკავეს. უპრეცედენტო და ისტორიული წარმატებაა, რადგანაც ამის გაკეთება შეძლო დედა-შვილმა.

ყველაზე აღსანიშნავი ის არის, რომ საქართველოში ამ დისციპლინაში არ ვარჯიშობენ, რადგან 50-მეტრიანი სასროლეთი ფიზიკურად არაა. სალუქვაძე მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს ვარჯიშობდა, მას შემდეგ კი მხოლოდ მინსკში გამომგზავრებამდე, ბაქოში ივარჯიშა ერთკვირიან შეკრებაზე. თანაც, ძველი პისტოლეტით ისვრიან, რომელიც გაფუჭებული იყო და მინსკში უცხოელი მეგობრების დახმარებით შეაკეთეს.

**ცოტნე მაჭავარიანი:**

– არ გახლდათ მარტივი მედალოსნებში მოხვედრა. წინა ევროპულ თამაშებზე ცუდად გამოვედით, ახლა კი მე-3 ადგილზე გავედით. სირთულეების მიუხედავად, ძალიან კარგად ისროლა ნინო სალუქვაძემ, მე კი ბოლო გასროლა გავაფუჭე, 7-იანი მქონდა, თორემ შეიძლებოდა, ვერცხლის მედალიც მოგვეპოვებინა. თუმცა მაინც კმაყოფილები ვართ, რადგან შრომა დაგვიფასდა.

**ნინო სალუქვაძე:**

– ბედნიერი ვარ იმის გამო, რომ შვილთან, ცოტნესთან ერთად ვიდექი კვარცხლბეკზე. ჩვენ მოსამზადებლად ძალზე ცოტა დრო გვქონდა, თან ამ დისციპლინაში საქართველოში სავარჯიშო პირობები არ არის და ბაქოში გავიარეთ შეკრება. ამის მიუხედავად, ძალების მაქსიმალური მობილიზებისა და მონდომების ხარჯზე შევძელით საპრიზო ადგილზე გასვლა. ეს ვაჟების დისციპლინაა, მას ქალები არ ისვრიან, მაგრამ ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს ვვარჯიშობდი აქ, რამაც ახლა გაამართლა. გამოვედით ისეთ დისტანციაზე (50-ზე მეტრზე), რომლის ბაზაც საქართველოში არ გვაქვს, თუმცა მაინც მოვიპოვეთ მედალი და რომ გვქონდეს პირობები, მაშინ ვინ მოგვედრებოდა წარმატებებით. ეს მედალი ძალიან ღამაზია და მძიმე, მაგრამ კიდევ უფრო მძიმე მასთან მისვლა იყო. საბჭოთა კავშირის შემდეგ ამ დისციპლინაში არც მივარჯიშია, არც იარაღი მივარგოდა, მაგრამ აქ შეჯიბრებისას უცხოელმა მეგობრებმა შემიკეთეს.

საქართველოს მედლების ყულაბას თავისი წილი ჯილდო შემატა სამგზის ოლიმპიელმა, ბატუტზე მხტომელმა ლუბა გოლოვინამ. ლუბა საკვალიფიკაციო ხტომებში 98.200 ქულით საუკეთესო ექვსეულში მოხვდა და ფინალში ასპარეზობის უფლება მიიღო.

გოლოვინა გაცილებით უკეთ გამოვიდა ფინალში, სადაც 53.990 ქულით ვერცხლის მედალი მოიპოვა, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი და ცოტა მოულოდნელი წარმატებაა. ცხადია, ლუბას არ ვაკნინებთ, ბოლო-ბოლო 3 ოლიმპიადაზეა ნამყოფი, მაგრამ აქამდე მედლის მოპოვება ვერ შეძლო.

წარმატებული დღე ჰქონდათ საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრებს.

ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა გურამ თუშიშვილმა (+100 კგ) ფინალამდე იპონით დაამარცხა რუმინელი, პოლონელი და ჰოლანდიელი მოწინააღმდეგეები და ამას 3 წუთზე ნაკლები დრო მოანდომა. ქართველი მძიმეწონოსანი ფინალში რუსეთის წარმომადგენელს ინალ ტასოევს დაუპირისპირდა და 1 წუთსა და 38 წამში წმინდად მოუგო, მოგვიანებით კი მისი გამარჯვების აღსანიშნავად მინსკის ულტრათანამედროვე „ჩიჟოვკა არენაზე“ საქართველოს ჰიმნიც აჟღერდა.

ევროპულ თამაშებზე ძიუდოისტთა ტურნირი ასევე ქართული ჰიმნით გაიხსნა, როცა 60 კგ წონაში ლუხუმ ჩხვიმიანმა გაიმარჯვა.

**გურამ თუშიშვილი:**

– ძალიან ბედნიერი და გახარებული ვარ. ცხადია, საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის მედროშეობა ჩემთვის საპასუხისმგებლო იყო და ორმაგად მობილიზებული ვიყავი, რათა ჩემი ქვეყანა და ხალხი გამეხარებინა. მით უმეტეს, ფინალში დაძაბული ბრძოლა გვქონდა ჩვენს ქვეყანაში არსებული ვითარების გამო. ამ გამარჯვებას ჩემს ქვეყანას და ქართველ ერს ვუძღვნი.

ჩემპიონობასთან ახლოს იყო ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანი ძიუდოისტი ვარლამ ლიპარტელიანიც (100 კგ). მან ფინალამდე ჩერნოგორიელ, ბელარუს და ფრანგ მეტოქეებს იპონით აჯობა, მაგრამ საჩემპიონო ბრძოლა იპონითვე დათმო რუსეთის წარმომადგენელ არმან ადამიანთან. საბოლოოდ, ლიპარტელიანს ვერცხლის ჯილდო ერგო.

მინსკში ჩვენმა ძიუდოისტებმა მეორე ევროპული თამაშების 2 ოქროს, 1 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მიიღეს (გარდა ამისა, ევროპის პარალელური ჩემპიონატის ამდენივე მედალი ერგოთ) და ვაჟთა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენეს. სამწუხაროდ, მედალოსანთა შორის ვერ მოხვდა ბექა ღვინიაშვილი (90 კგ), რომელიც მეოთხედფინალში დამარცხდა.

ევროპის მე-2 თამაშების ოქროს მედლის მოგების შანსს საქართველოს მოკრივეთა ნაკრების 6 წევრი ინარჩუნებს. აქვე შეგახსენებთ, რომ მინსკი 2019 მოკრივეთათვის ევროპის ჩემპიონატის სტატუსსაც ატარებს და ჩემპიონ-პრიზიორებისთვის კონტინენტის პირველობის მედლებიც გაიცემა.

ყველაზე მსუბუქ, 49კგ წონით კატეგორიაში სახილ ალახვერდოვმა მერვედფინალში გერმანელი ომარ სალაჰ იბრაჰიმი დაამარცხა 3:2 და მეოთხედფინალში ბრიტანელ აქიილ აჰმედს დაუპირისპირდება.

მერვედფინალშივე ფრანგ ჟორდან როდრიგესთან იჩხუბებს ოთარ ერანოსიანი (60კგ), რონელიც მეთექვსმეტედფინალში ისვენებდა.

ლაშა გურულმა (64კგ) მოლდოველი დმიტრი გალოგოტი 4:1 დაამარცხა და მერვედფინალში თურქ ტუღრულჰან ერდემირის შეხვდება.

ნიკოლოზ ბეგაძემ (91კგ) უკვე 2 ბრძოლა მოიგო: ჯერ ლუქსემბურგელ მიშელ ერპელდინგს 5:0 სძლია, შემდეგ კი უკრაინელი რამაზან მუსლიმოვი ჩამოიშორა გზიდან – 4:1. ჩვენებური მეოთხედფინალში მასპინძელ ვლადისლავ სმიაჰლიკოვს შეხვდება.

უცნობია ვის შეხვდება მეოთხედფინალში მიხეილ ბახტიძე (+91), რომელმაც უკვე 2 მეტოქე დაამარცხა: უნგრელ იშტვან ნადის 5:0, ირლანდიელ დინ გარდინერს კი 4:1 სძლია.

მეოთხედფინალში ელოდება მეტოქეს არტიუშ გომციანიც (56კგ), რომელმაც პოლონელი იაროსლავ ივანოვი და რუსი ბახტიარ ნაზიროვი ერთნაირი ანგარიშით – 5:0 დაამარცხა.

**ლერი ხაბელოვი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი:**

– ჩვენმა სპორტსმენებმა უკვე 6 ოქროს, 5 ვერცხლისა და 9 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და დღეისათვის საერთო გუნდურ ჩათვლაში ევროპის 50 ქვეყანას შორის მე-3 ადგილზე ვართ. 20 მედალი 3 დღეში – ეს არის მართლაც ისტორიული მნიშვნელობის წარმატება. ჩვენ უკვე საგრძნობლად გავაუმჯობესეთ წინა ევროპული თამაშების შედეგი როგორც რიცხობრივად, ასევე ხარისხობრივად. ბაქოში სულ 16 მედალი გვქონდა, მათ შორის კი მხოლოდ 2 მედალი იყო ოქროსი.

დიდი იმედი გვაქვს, რომ მინსკში კიდევ არაერთი მედალი შეგვემატება, მათ შორის – კრივში, კანოეში, კარატეში და სპორტის სხვა სახეობებში. თამაშებში ჩაებმებიან თავისუფალი სტილის მოჭიდავეები, 28 ივნისს დაიწყება ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ცხადია, ჩვენი მოჭიდავეებისგან ასევე ველით მედლებს. ჩვენი გუნდის სხვა წევრების წარმატება მათთვის დამატებითი მოტივაცია იქნება.

# ლოსკოვს კვარაცხელიას ქართველობის არ სჯერა

წარსულში ცნობილი რუსი ფეხბურთელი და ამჟამად მოსკოვის ლოკომოტივში იური სიომინის თანაშემწე იური ლოსკოვი ქართველი ფეხბურთელების შესახებ საუბრობს.

შეგახსენებთ, რომ ლოკომოტივში 2 ქართველი ფეხბურთელია – საბა კვირკველია და ხვიჩა კვარაცხელია. როგორც ჩანს, ორივე მათგანი ტიპიურად განსხვავდება ერთმანეთისგან.

**დმიტრი ლოსკოვი:**

– კვარაცხელია ტიპიური ქართველი არ არის. ვარჯიშებზე ბოლომდე იხარჯება და ფეხბურთის თამაში უნდა. როგორც წესი, ქართველები მოედანზე ზარმაცები არიან, რა თქმა უნდა, კარგი გაგებით. კვარაცხელიას კი ფეხბურთის თამაში უნდა და ამის გაკეთება მაღალ დონეზე სურს. პლუს, ხვიჩას 3 სხვადასხვა პოზიციაზე შეუძლია თამაში. ის ნიჭითა და ფიზიკური მონაცემებით დაჯილდოებულია. ორივე ფეხით კარგად ურტყამს. ჩვენთან ზოგიერთი მეკარე მისი დარტყმების შემდეგ ტირის. თუ ხვიჩა ასეთივე მონდომებით გააგრძელებს შრომას, ის მაღალი დონის ფეხბურთელი გახდება.

როდესაც კვარაცხელია ჩვენთან მოვიდა, სრულწლოვანიც არ იყო და ამის გამო მარბელაში ვერ წავიყვანეთ. ხვიჩას შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და მან მხოლოდ ფეხბურთზე უნდა იფიქროს, რადგან მოსკოვი დიდი ქალაქია და შესაძლოა ჩაიკარგოს. ყველას არ შეუძლია დიდი ქალაქის ცხოვრებასთან გამკლავება. ვფიქრობ, რომ ამ კუთხით ხვიჩას კვირკველიაც უნდა დაეხმაროს.

ლოსკოვმა საბა კვირკველიას შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის ინგლისისთვის მზად არ არის, რადგან ზარმაცია.

– შეუძლია თუ არა კვირკველიას ინგლისის პრემიერლიგაში თამაში? არა, რადგან ის საკუთარ თავთან უფრო მომთხოვნი უნდა იყოს. ვარჯიშებს განსხვავებულად უნდა მიუდგეს, ის ცოტა ზარმაცია. ფეხბურთს სერიოზულად უნდა მიუდგეს, რადგან ფეხბურთი შეცდომებს არ გპატიობს. რუსეთში საბას ასე თამაშის უფლებას აძლევენ. მას თავისი სისწრაფის გამოყენებით შეუძლია პოზიციური შეცდომები გამოასწოროს. ხანდახან მეჩვენება, რომ მას ვარდნების განხორციელება იმიტომ მოსწონს, რომ ფოტოებში კარგად გამოიყურება.

# ლივერპულს ფერნანდეში მოუნდა

პორტუგალიური პრესის მიხედვით, ლივერპულმა 24 წლის ბრუნო ფერნანდეშის ყიდვის თაობაზე სპორტინგს წინადადებით მიმართა. „წითლები“ მზად არიან, ერთა ლიგის გამარჯვებულ ფეხბურთელში 45 მილიონი ევრო გადაიხადონ.

ფერნანდეშის გამო ევროპის არაერთი კლუბი აჩაღებს ბრძოლას, თუმცა წყაროს მიხედვით რეალური ინტერესები და ოფიციალური წინადადება მხოლოდ ლივერპულმა გამოაჩინა. არადა, ფერნანდეშის ხელში ჩაგდებას ამ დროისთვის მანჩესტერ სიტი და იუნაიტედი, ტოტენჰემი და მილანის ინტერი ლამობენ.

ლივერპულელთა სურვილი იმდენად დიდია, რომ მერსისაიდელები მზად არიან, მის სანაცვლოდ თანხა 56 მილიონამდეც კი გაზარდონ.

გასულ სეზონში სპორტინგის ნახევარმცველმა 53 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, სადაც 32 გოლსა და 18 საგოლე პასს მოუყარა თავი.

**მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა**

# ფაბიო კაპელო: „დე ლიხტი საუკეთესო ცენტრალური მცველია“

სულ უფრო და უფრო მეტი საუბარი მიდის ჰოლანდიელი ფეხბურთელის, მატიას დე ლიხტის ტურინის იუვენტუსში გადასვლაზე.

ბოლო ცნობებით, მოლაპარაკებები მიმდინარეობს, თუმცა მინო რაიოლას საკუთარი კლიენტისთვის წლიური გასამრჯელოს სახით სეზონში 12 მილიონი სურს. ტურინელები თავის მხრივ 8-9 მილიონის რადიუსში ფიქრობენ და არ სურთ უფრო მეტი თანხის გაღება.

თავად ჰოლანდიელს კარიერის გაგრძელება იტალიურ გრანდში უნდა და ბიანკონერის საკუთარი გადაწყვეტილება თავადვე გაანდო.

დე ლიხტის იუვეში შესაძლო ტრანსფერზე კომენტარი გააკეთა ლეგენდარულმა მწვრთნელმა **ფაბიო კაპელომ:**

– თუ ჰოლანდიელი ფეხბურთელი ტურინში გადაბარგდება, მერწმუნეთ, შეგიძლიათ ჩემპიონატი ჯერ კიდევ მის დაწყებამდე დაამთავროთ! ჩვენ ახლა უდავოდ საუკეთესო ცენტრალურ მცველზე ვსაუბრობთ, რომლის მონაცემები იძლევა საშუალებას, გუნდმა თავი 2 უკანახაზელით დაიცვას და განაპირა მცველებს წინ ასვლის საშუალება მიცეს.

ამიტომაც ვფიქრობ, რომ იუვე მისი გაფორმებით დიდ კოეფიციენტს მოხსნის. ყველაფერთან ერთად, იტალიაში მატიასი მეტად დაიხვეწება და ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი მცველი გახდება.

იუვენტუსში მორიგ ტრანსფერს აანონსებს პოპულარული იტალიელი ჟურნალისტი **რომერო არჯესტი:**

– შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ფაბიო პარატიჩიმ შაბათს ადრიენ რაბიოსთან ყველაფერი შეათანხმა. პრინციპში მასთან ორიოდე კვირის წინ 90%-ით მოგვარებული იყო, მაგრამ გასულ უქმეებზე თითოეული წვრილმანიც შეთანხმდა და ფრანგი ტურინში 5 წლის განმავლობაში იასპარეზებს. მისი ანაზღაურება სეზონში 7 მილიონი ევროს რადიუსში იქნება. პრეზენტაცია ივლისის დასაწყისში მოხდება, როდესაც გუნდი ეტაპობრივად დაიწყებს შეკრებას ახალი სეზონისთვის.

# 7-კაცა ნაკრები ოლიმპიადაზე მოსახვედრად იბრძოლებს

საქართველოს 7-კაცა ნაკრებმა ევროპის გრან პრის პირველ ეტაპზე მე-10 ადგილი დაიკავა და 13-14 ივლისს საფრანგეთში, ქალაქ კოლომიეში 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების შესარჩევ ტურნირში ითამაშებს.

წელს გრან პრი 2 ეტაპად ტარდება, მათ შორის კი, ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი გაიმართება. გრან პრის პირველი, მოსკოვის ეტაპი, პარალელურად სწორედ ამ შესარჩევის შესარჩევი ტურნირი იყო.

ჯგუფური ეტაპის პირველ შეხვედრაში, მასპინძელ რუსეთთან დიდი ბრძოლა გაიმართა. ტაიმის მიწურულს და მეორეს დასაწყისში გაშვებული ლელო-გარდასახვების შემდეგ, ჩვენმა 7-კაცამ შეძლო 2 საპასუხო ლელოს გატანა, მაგრამ მხოლოდ ერთი გარდასახა და მეტოქეს 2 ქულით ჩამორჩა – 12:14.

მეორე მატჩში ინგლისმა უშანსოდ დაგვტოვა (5:59), დასკვნით შეხვედრაში კი ჯგუფის ლიდერ ესპანეთს ვებრძოლეთ, 3 ლელო გავუტანეთ, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა – 17:24.

მე-9 ადგილისთვის ბრძოლაში ჩავერთეთ... უმნიშვნელოვანეს, ნახევარფინალურ მატჩში რუმინეთს შევხვდით. დაძაბული ბრძოლის უკანასკნელ წუთზე, მეტოქის დაცვა ნიკო აფციაურმა გაარღვია, გიორგი ჭუაძემ ლელო გაიტანა და 24:19 მოგებით ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირის საგზური დავიბევეთ. მოსკოვში ბოლო თამაში კვლავ მასპინძლებთან გვქონდა და კვლავ მეტოქის გამარჯვებით დასრულდა – 14:0.

ამრიგად, ჩვენმა 7-კაცამ გრან პრის პირველი ეტაპი მე-10 ადგილზე დაასრულა. გრან პრიდან ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირზე 9 გუნდი გადის, თუმცა ინგლისი და უელსი ერთიანი, დიდი ბრიტანეთის სახელით თამაშობს და საქართველო კოლომიეში მე-9 გუნდად მიდის. ამ 9 გუნდს „ალაფიდან“ 2 მოწინავე და „კონფერენც დივიზიონის“ გამარჯვებული გუნდები დაემატებიან.

ოლიმპიადის შესარჩევში ითამაშებენ: საფრანგეთი, ირლანდია, ინგლისი, გერმანია, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია, უელსი და რუსეთი ითამაშებენ. მათ „ალაფადან“ ლიტვა და უკრაინა, ხოლო „კონფერენც დივიზიონიდან“ უნგრეთი დაემატება. ინგლისი და უელსი ერთ საგზურს მიიღებენ.

„ალაფიდან“ შეეძლო ოლიმპიადის შესარჩევში მოხვედრა საქართველოს 7-ქალა ნაკრებსაც, მაგრამ 2 ეტაპის ჯამში მე-8 ადგილზე დაასრულა და გაისადაც მეორე დონეზე ითამაშებს.

გოგონებმა „ალაფას“ საგზური შარშან, „კონფერენც დივიზიონის“ მოგებით მოიპოვეს და წელს მიზნად ამ დონეზე ადგილის შენარჩუნება დაისახეს, რისთვისაც აუცილებელი იყო, რომ მინიმუმ ათეულში შესულიყვნენ.

ჯაბა მალაღურაძის შეგირდებმა პირველი ეტაპი მე-10 ადგილზე დაასრულეს, გასულ უქმეებზე კი, მეორე ეტაპზე პორტუგალიაში ითამაშეს.

ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში 7-ქალას მეტოქე ჩეხეთის ნაკრები იყო, რომელმაც საბოლოოდ „ალაფა“ მესამე ადგილზე დაასრულა. მატჩი დაძაბული გამოდგა, ორივე გუნდმა 3-3 ლელოს გატანა მოახერხა, თუმცა მეტოქემ ერთით მეტი გარდასახა და 21:19 იმარჯვა. ფინეთს, რომელმაც ჩეხების მსგავსად 30 ქულა დააგროვა და მეოთხე ადგილი დაიკავა მხოლოდ ერთი ლელო გავუტანეთ – 7:24, დასკვნით ტურში კი უნგრეთს 14:7 ვძლიეთ და მოწინავე 8 გუნდს შორის მოვხვდით, რითაც „ალაფაზე“ დარჩენა დავიბევეთ.

ჯაბა მალაღურაძის შეგირდები თასის მეოთხედფინალში რუმინეთს შეხვდნენ (0:33), რომელიც წელს გრან პრიზე აღზევდა, მე-5 ადგილის ნახევარფინალში პორტუგალიას ეთამაშნენ (0:26), მე-7 ადგილისთვის კი ნორვეგიას – 5:14.

ლისაბონში მე-8 ადგილის დაკავებით, 7-ქალამ 6 ქულა მიიღო, ჯამში 9 მოუგროვდა და საბოლოოდ „ალაფაც“ მე-8 პოზიციაზე დაასრულა. გრან პრიზე გერმანია და რუმინეთი აღზევდნენ, „კონფერენც დივიზიონში“ კი ისრაელი და შვეიცარი დაქვეითდნენ. გაისად მათ ადგილს მოლდოვა და დანია დაიკავებენ.

**მოამზადა მანეელ ჟორჟოლიანმა**

# სპილოების ჯოგი ავტომობილს თავს დაესხა

სამხრეთ აფრიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში სპილოების ჯოგი თავს დაესხა ავტომობილს. ადგილობრივი საინფორმაციო პორტალის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მისმა მძღოლმა ინციდენტის დროს სიცოცხლესთან დამშვიდობებაც კი მოასწრო.

40 წლის მარიანა კუჟჰნასტი 73 წლის დედასთან ერთად კრიუგერის პარკში საფარიზე ავტომობილ ნისან ქაშქაით იმყოფებოდა. ქალი გზაზე შეჩერდა სპილოების ჯოგის გასატარებლად, რომლებსაც სპლიყვებიც ახლდნენ.

მოულოდნელად ერთ-ერთი დედა სპილო ავტომობილისკენ წავიდა. კუჟჰნასტი შეეცადა, მანქანა უკან დაეწია, თუმცა მის უკან მდგომი ავტომობილის მძღოლმა ნიშნებით აცნობა, რომ უკან დახევა არ შეეძლო. ცხოველი თანამომძეებთან ერთად ავტომობილს სულ უფრო მეტად უახლოვდებოდა და, ქალის თქმით, მას თავში გაუელვა აზრმა: „ეს დასასრულია“.

ტურისტმა აღნიშნა, რომ სპილოებმა ორჯერ შეუტიეს მის მანქანას და ერთხელ თავითა და ეშვებით დაეჯახნენ. ცხოველები მხოლოდ მას შემდეგ დამშვიდდნენ, რაც ქალმა ძრავა გამორთო.

ინციდენტის შედეგად არც ადამიანები და არც თავად ცხოველები არ დაშავებულან, მხოლოდ მანქანა დაზიანდა.

# ანომალიურად სქელმა პითონმა ავსტრალიელის ნაკვეთში ბუჩქებში მოიკალათა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის სანშაინ-კოსტის სანაპირო რაიონში გველებზე მონადირემ ანომალიურად სქელი პითონი დაიჭირა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ჩანაწერი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გაავრცელა.

19 ივნისს სტიუარტ მაკენზი გამოიძახეს, რათა დაეჭირა და კერძო ტერიტორიიდან გაეყვანა რეპტილია, რომელიც ბუჩქებში შეძვრა და იქ მოკალათდა. კადრებში ჩანს, თუ როგორ გამოჰყავს სპეციალური კაუჭიანი ჯოხით რეპტილია, რომელიც მის კბენას ცდილობს. მაკენზი რომბისებურ პითონს ხელში იყვანს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის საკმაოდ მძიმეა. მისი წონა რვა კილოგრამს აღწევს.

– ამ ყმაწვილს ყველაზე დიდი პითონის პრიზი ეკუთვნის მათ შორის, რომელიც კი ამ რაიონში დამიჭერია. ის ყველაზე გრძელია მათ შორის, რომლებიც კი დამიჭერია, მაგრამ, ღმერთო ჩემო, როგორი მძიმეა, – განაცხადა გველებზე მონადირემ.

მან ქვეწარმავალი სპეციალურ ტომარაში მოათავსა. მოგვიანებით კი ბუნებაში გაუშვა.

# გორილა ზოოპარკის თანხების შეჭმაში დაადანაშაულეს

ნიგერიის ქალაქ კანოში მიმდინარეობს მსხვილი ფულადი თანხის გაუჩინარების საქმის გამოძიება, რომელიც ზოოპარკში ინახებოდა.

დაიკარგა 6,8 მილიონი ნაირი, რომელიც ადგილობრივმა ზოოპარკმა შესასვლელი ბილეთების გაყიდვის შედეგად მიიღო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზოოპარკის ფინანსურმა დირექტორმა განაცხადა, რომ ფული გორილამ გადაყლაპა, რომელმაც ოფისში შეღწევა მოახერხა.

კანოს შტატის გუბერნატორმა ეს ვერსია უარყო. მისი თქმით, ამ ზოოპარკში გორილები არ ჰყავთ და ამიტომ ისინი ფულს ვერ შეჭამდნენ.

– წინასწარი მონაცემები იმას მოწმობს, რომ იქ შეიარაღებულ ძარცვას ჰქონდა ადგილი, – დაამატა გუბერნატორმა.

კანოს შტატის პოლიციის უფროსმა განაცხადა, რომ ფულის გაუჩინარებასთან დაკავშირებით ოთხი ადამიანია დაპატიმრებული, მათ შორის ზოოპარკის ბუღალტერი და მცველები. მათ ამ მომენტისთვის ბრალი დანაშაულებრივ გულგრილობაში ედებათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ასტროპროგნოზი

## 26 ივნისისთვის

**ვერძი** – დღის პირველ ნახევარში წარმატებას მოგიტანთ ხელმძღვანელ პირებთან კონტაქტი, ასევე საქმიან პარტნიორებთან მოლაპარაკებები. კომერციული ოპერაციები სასურველ შედეგს გამოიღებს. **ჯარო** – შესაფერისი დღეა აქტიური ინდივიდუალური მუშაობისთვის. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. ზედმეტი თავდაჯერებულობა საზიანოა. **ბყუპები** – სავარაუდოდ, ფინანსების დანაკარგი მოსალოდნელი. არავის ენდოთ, დიდია მოტყუების ალბათობა. **კირჩხიბი** – ჩანაფიქრი იოლად გისრულდებათ, თუმცა, ამავე დროს, შინაგან დაძაბულობას გრძნობთ, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას მოახდენს. **ლომი** – ბიზნესის დასაწყებად მშვენიერი პერიოდია. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა წარმატებული იქნება. **ქალწული** – დღეს, შესაძლოა, ისეთი საქმიანი შემოთავაზება მიიღოთ, რომელიც თქვენს ფინანსურ მდგომარეობას ძალზე გააუმჯობესებს. საყვარელ ადამიანთან დაკავშირებით სასიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ. **სასწორი** – ბიზნესპარტნიორები ხაფანგს გიგებენ. არავითარ შემთხვევაში მათ ანკესს არ წამოეგოთ. ყველაფერი კარგად გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – სიზარმაცემ შემოგიტიათ? შეუტიეთ თქვენც. თუ ასე არ მოიქცევით, ნებისმიერი წვრილმანი ცვლილებაც კი საზიანო იქნება. **მშვილდოსანი** – თქვენი აქტიურობა და შრომისმოყვარეობა სათანადოდ დაფასდება. კარგი დღეა დაწყებული საქმის დასამთავრებლად. **თხის რქა** – ბიზნესის დასაწყებად მშვენიერი პერიოდია. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა წარმატებული იქნება. **მერწყული** – თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა წარმატების მიღწევაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. გელით კარიერული წინსვლა. **თევზები** – ეს დღე შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლებით გამოირჩევა. მოსალოდნელია დიდი წარმატება ხელოვნების სფეროში, ასევე კარგი პერიოდია შვებულებაში გასასვლელად ან, უბრალოდ, ბუნების წიაღში დასასვენებლად.

**გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!**

# ჯოსვოჰდი ბ



**შვეულად**: 1. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდი; 2. ფლიდი, ფარისეველი ადამიანი; 3. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 4. ორი მონარქიული სახელმწიფოს გაერთიანება; 5. მყავე მინერალური წყლების ძველი ქართული სახელწოდება; 6. ღვინის, დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. საქართველოს პრეზიდენტი; 10. უმაღლესი ხარისხის ქვანახშირი; 11. კომუნისტური წყობის უმაღლესი ფაზა; 14. ვულკანური წარმოშობის ძალზე მსუბუქი ფოროვანი მინერალი; 16. მიწისქვეშა განძეულის მცველი ქონდრისკაცი გერმანულ მითოლოგიაში; 18. მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი სახელმწიფო აფრიკაში; 20. უმაღლესი მწვერვალი კავკასიონზე; 23. ციმბირული ირემი; 24. მზის სისტემის პლანეტა; 26. მომწამლავი ნივთიერება; 26. ფრანგული ავტომობილი.

**თარაზულად**: 7. ნახშირმჟავა მარილების საერთო სახელწოდება; 8. მცენარის სასიცოცხლო მოქმედება, მისი ზრდის პროცესი; 12. მდინარე საქართველოში; 13. ერთწლოვანი პარკოსანი მცენარე; 15. თეთრი, მკვრივი ნივთიერება, რომლითაც დაფარულია კბილის გარეთა ნაწილი; 17. ხაშურის ძველი სახელწოდება; 19. საწვავი სითხე; 21. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ოქროსფერი კურდღელი; 22. ავტოდრომი იტალიაში; 27. ვაზის მავნებელი მწერი; 28. ქართველთა გამაერთიანებელი მეფე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტონიკი; 2. ჰენესი; 3. ანორაკი; 4. მავრები; 5. ლარიქსი; 7. გერნიკა; 11. მუაში; 12. ქაფშია; 13. მუხიანი; 14. პარსეკი; 15. ხარება; 17. გუბაზი; 19. ბუცი.

**თარაზულად:** 5. ლოგორეა; 6. ესენცია; 8. სურა; 9. დაფნე; 10. ქიზიყი; 11. მახა; 13. მაშავერა; 14. პრადო; 16. დგუში; 18. ვაიდა; 20. კარცერი; 21. ბენზემა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დორსე; 2. წყალი; 3. კამბუზი; 4. მახა; 5. იაგო; 6. ამსტელი; 9. მარკშეიდერი; 10. ასტეროიდი; 11. ლივერპული; 14. ცეკვა; 16. ტაიჭი; 18. სკუტერი; 20. ლაშქარი; 23. პერო; 24. ცერნი; 25. ბლუზი; 26. თუნი.

**თარაზულად:** 7. ქათინაური; 8. ფანატიზმი; 12. ფუქსი; 13. პირეი; 15. ნოკია; 17. კასტელანი; 19. იუდეა; 21. წუნდა; 22. ფლეში; 27. პროკურორი; 28. ფურნიტურა.

# ნინო ქათამაძემ რუსეთში იმღერა

ნინო ქათამაძემ რუსეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე „უსადბა ჯაზ“ იმღერა, რამაც ქართველების გაღიზიანება გამოიწვია.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ნინო ამ ფესტივალის მონაწილეა, რადგან ის ყოველწლიურად სტუმრობს „უსადბა ჯაზს“.

ნინო ქათამაძის მონაწილეობის ამსახველი ვიდეო სოციალურ ქსელში გავრცელდა, სადაც ის ფოსტალიონის სიმღერას ასრულებს მსმენელთან ერთად ფილმიდან „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“.

როგორც ფესტივალის წამყვანმა განაცხადა, ნინო ქათამაძეს არ დაუმალავს, რომ ის ფიზიკურად რუსეთშია, მაგრამ მისი გული საქართველოში დარჩა. თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ მომღერალი ქართველებს არ გაეკრიტიკებინათ.

# ალექსანდრე ნევზოროვმა საქართველოს მხარდაჭერა გამოუცხადა

ცნობილმა რუსმა ჟურნალისტმა ალექსანდრე ნევზოროვმა საქართველოსა და ქართველებს მხარდაჭერა გამოუცხადა.

მან ინტერნეტში სპეციალური ვიდეორგოლი გაავრცელა, სადაც აჭარული „განდაგანას“ ფონზე შავ მაისურზე თეთრი საღებავით „გეორგია“ დააწერა.

ჟურნალისტმა მაისურიც ჩაიცვა და ამით საქართველოსა და ქართველების მიმართ სოლიდარობა გამოხატა.

# გიორგი ცხადაძე: „20 ივნისი უბედურების დღეა“

ასე მიაჩნია ახმეტელის თეატრის მსახიობსა და „მხოლოდ ქართულის“ მეორე სეზონის მონაწილე გიორგი ცხადაძეს:

– ჩვენ იქ თავისუფლებისთვის ვიდექით და, მთავარია, ისევ დავდგეთ.

ყველას უნდა გავაგონოთ, რომ რუსეთი არ გვინდა და ძალით ვერ შეგვტენიან.

სანამ ამას აბსოლუტურად ყველა არ გაიგებს, მანამდე რუსეთი მუდმივად გვიწოდებს მცირე პოლიტიკური ჯგუფებისგან მართულ რადიკალებს და მეტი არაფერი. ზუსტად ასე შეგვაფასა ჩრდილოეთის ხელისუფლებამ და მედიამ. 20 ივნისი უბედურების დღეა.

ის ტიპი, რომელიც ამ დღეებში ძაან ჩვეულებრივად განაგრძობს თავის ცხოვრებას, დადის ბარში, დაბადების დღეზე. აზიარებს თავის ფოტოებს, სელფებს, მაგრამ არც ერთხელ არ მისულა რუსთაველზე და გონზე არაა იქაური ემოციის.

და ის ტიპი, რომელიც აქ პოსტავს და აქვეყნებს რაღაც ვიდეოებს, „ბრძნულ“ გამონათქვამებს, მაგრამ ვირტუალურადაც კი არ იმჩნევს, რა ხდება პარლამენტთან.

თქვენ, ორივე, რა კატეგორია ხართ?!

# ბუბა კიკაბიძეს ჭორებს უვრცელებენ

მომღერალსა და მსახიობ ბუბა კიკაბიძეს ჭორებს უვრცელებენ. სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოებმა გამოაქვეყნეს, რომ ხელოვანი გარდაიცვალა.

მერსი სულხანიშვილი, წამყვანი:

– ვიღაც ცრუ მავნებლური სააგენტოები ავრცელებენ ცრუ ინფორმაციას, ვითომ ბუბა კიკაბიძე გარდაიცვალა. ხომ უნდა დაიჭირო ახლა ის პირველწყარო, ვინც ეს სისულელე გაავრცელა.

მეგობრებო, ცოცხალია და კიდევ დიდხანს იცოცხლებს გენიალური და განუმეორებელი ბუბა.

# ტახი მეტროს სადგურში შეიჭრა და ქალი დააშავა



ჰონკონგის საივანის რაიონში, გარეული ტახი მეტროს სადგურზე შეიჭრა და მგზავრი ქალი დააშავა.

ინციდენტი 19 ივნისს მოხდა. გარეული ცხოველი ქუჩიდან სადგურის ტერიტორიაზე ადგილობრივი დროით დაახლოებით საღამოს რვა საათზე შეიჭრა. ის ვესტიბიულში მყოფ 49 წლის ქალს თავს დაესხა, თუმცა ის სწრაფად მოიგერიეს სადგურის თანამშრომელმა პოლიციელებმა. დაშავებული ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

პოლიციელებმა გარეული ცხოველი კუთხეში მიიმწყვდიეს და მის ირგვლივ ადგილი გადასატანი ლითონის წინაღობებით შემოღობეს, რომ გაქცევა ვერ მოეხერხებინა.

ამის შემდეგ შემთხვევის ადგილზე ჰონკონგის სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და ნაკრძალების სამინისტროს წარმომადგენლები მივიდნენ. მათ ცხოველს ტრანკვილიზატორი ესროლეს, შემდეგ გალიაში მოათავსეს და წაიყვანეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ირაკლი ხვადაგიანი გაათავისუფლეს

ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი ირაკლი ხვადაგიანი გაათავისუფლეს. ის 20 ივნისის ღამეს დააპატიმრეს და რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად იზოლატორში მოათავსეს.

ირაკლიმ მხოლოდ გათავისუფლების შემდეგ აღმოაჩინა, რომ თვალის ბუდის შიდა მოტეხილობები და მსუბუქი ტვინის შერყევა აქვს:

– უღრმესი მადლობა ყველას, ვინც ამ დღეების განმავლობაში გვგულშემატკივრობდა იზოლატორებში გაგზავნილ პატიმრებს.

რადგან თვალის ბუდის შიდა მოტეხილობები აღმომაჩნდა და შეიძლება, საოპერაციოც გავხდე, თუ გართულდა, ამ 2 კვირის განმავლობაში აკრძალული მაქვს მონიტორთან ჯდომა, ხალხმრავალ ადგილებში ყოფნა და ნაკლები დამატებითი სტრესები. დიდი ბოდიში ყველას, რომ ინდივიდუალურად ვერ გეხმიანებით და მადლობას ვერ გეუბნებით.

სოლიდარობა იზოლატორში დარჩენილ ყველა პატიმარს! მათი უმრავლესობა ძალიან ახალგაზრდაა ამ გამოცდილებისათვის, რომ უსამართლო გადაწყვეტილებების შედეგად 2 კვირამდე მაინც გამოკეტილმა გაატაროს. ყველა მათგანს სჭირდება სოლიდარობა, ხმის მიწვდენა, თანაგრძნობა. აპელაცია ალბათ დაპატიმრებულების უმრავლესობას არ მოუთხოვია და, იმედია, სამოქალაქო პროტესტი მათ მასობრივ ამნისტიას მიაღწევს ძალიან სწრაფად! ყველა მათგანს დასჭირდება ფსიქოლოგიური დახმარება და რეაბილიტაცია გათავისუფლების შემდეგ, ასევე ამ მომენტშივე სისტემის იძულება რომ მოხდეს, ყველას სრულფასოვანი სამედიცინო შემოწმება – ისევე, როგორც მე 3 დღე ტვინის მსუბუქი შერყევითა და შიდა მოტეხილობებით ვიჯექი იქ, არავინ იცის, აქციის დარბევისას ნაცემ ხალხს რა რეალური დაზიანებები და მისგან გამოწვეული პროცესები აქვთ ამწუთას.

# დრამატურგ ალექს ჩიღვინაძის მამას დაემუქრნენ

დრამატურგ ალექს ჩიღვინაძის მამას სამსახურში დაემუქრნენ. რკინიგზაში მომუშავე მწერლის მამამ მუქარა თავისი შვილის საპროტესტო აქციებზე სიარულის გამო დაიმსახურა:

– მამაჩემი დიდი ხანია, რკინიგზაში მუშაობს. დღეს დაუბარებიათ და უთქვამთ, გავიგეთ, შენი შვილი აქციებზე დადის და დაელაპარაკე, რა, არ უნდაო. მამაჩემს უპასუხია, ზრდასრულია და თავისი აზრი აქვსო. ნუ, მაინც გადაეციო, არ უნდაო, თორემო...

ჰოდა, აი, გადმომცა. ნუ, გავიგე. არ მეტყოდა თვითონ. სახლში შეატყვეს, ეტყობა, ნერვიულობა და ჩაეკითხნენ, თორემ ჩვენ თვეში ორჯერ თუ ვნახავთ ერთმანეთს და ახლა რა მაინტერესებს? ვინ გგონივართ ან როგორ ბედავთ? როგორ გამბედეთ მე ან ჩემს ოჯახს? ერთი გადაბრუნებული სიტყვა აღარ უთხრათ მამაჩემს, აღარაფერს ვამბობ მის სამუშაო ადგილზე.

რაში ხარჯავთ და გვახარჯვინებთ ამ ძვირფასს წუთებს? სად არის თქვენი პრინციპები და ადამიანობა?

# გოგი გვახარია: „ფეესბეს ქართული ფილიალი ამუშავდა“

კინომცოდნე გოგი გვახარია მიიჩნევს, რომ ფეესბეს ქართული ფილიალი ამუშავდა:

– საპროტესტო ტალღის დისკრედიტაცია რაღაც გაურკვეველი საიტებით დაიწყეს. ახლა ნახავენ ხალხის რეაქციას და, მხარდამჭერი თუ ეყოლებათ, ნელ-ნელა გადავლენ „პატარა შალვებზე“.

ფეესბეს ქართული ფილიალი ამუშავდა. კოკას დანიიდან არა, მაგრამ მოსკოვიდან კი ეკონტაქტებიან.

მოხუც და, სავარაუდოდ, მთვრალ სტურუას რომ შეესიეთ, ჯობია, ამ დასპონსორებულ გვერდებს მოვუაროთ.

ომია, ხალხო, ომი!

# ქეთი დოლიძე: „ახალგაზრდებო, გონს მოდით!“

რეჟისორი ქეთი დოლიძე ახალგაზრდებს გონიერებისკენ მოუწოდებს და „ქართული ოცნებისა“ და საღად მოაზროვნე საზოგადოების საყურადღებოდ სპეციალურ განცხადებას ავრცელებს:

– პროტესტი ძალიან საშიშ ფაზაში შევიდა!

როცა ზვიად გამსახურდიას პირველი კორესპონდენტები მე ჩავუყვანე გორში ბიბისიდან და ჩემ თვალწინ, მათი თანდასწრებით ელაპარაკა პუგოს, არც ერთი უშვერი სიტყვა, არც ერთი მოუზომავი ფრაზა არ უთქვამს!

არც ერთ მიტინგზე არ გამიგია არც უწმაწური სიტყვები, არც დედის გინება, არც უშვერი მიმართვა!

საკაშვილს უნდა, ბოლომდე ჩაგვაბაროს რუსეთს და ამას ვერ ხვდება ეს აჟიტირებული ახალგაზრდობა!

მიტინგს უკვე ღიად მართავენ ნაცები!

მიტინგს მართავს ნაციონალური მოძრაობა და საკაშვილი უკრაინიდან, რომელიც სისხლისღვრისკენ მოუწოდებს!

არავის თქვენზე ნაკლებად არ უყვარს ეს ქვეყანა!

საშინელი წინათგრძნობა მაქვს და მალე ეს პროცესები უმართავი გახდება!

ეს ავსიტყვაობა, ფალოსები, ზღვარგადასული გინება მხოლოდ იმისკენ არის მიმართული, რომ დათვი ბოლომდე გადარიოს და ჩვენზე გასასრესად წამოვიდეს!

ქაცარავასნაირი პროვოკატორები დაგვიცავენ თუ ფალოსზე დახატული პორტრეტები?

ვინ არჩენს რუსეთიდან გამოძევებულ ამდენ ათას ადამიანს?!

მერამდენედ ვწირავთ დასაღუპად ამ ჩვენს ქვეყანას?

მერამდენედ?

კმარა! კმარა! კმარა, თორემ 2008 და 1993 მონაგონი იქნება!

და მერე თქვენს უსასტიკესად დასჯას მოვითხოვ, ნაძირლებო! ნაცებო! მიშას შნირებო!

ახალგაზრდებო! გონს მოდით!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# გოგონამ შეყვარებულს მოგებიანი ლატარიის ბილეთი მოჰპარა



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის მცხოვრებმა თავისი ყოფილი მეგობარი გოგონა დაადანაშაულა ლატარიის ბილეთის ქურდობაში, რომელსაც 500 ათასი დოლარი ჰქონდა მოგებული.

ჟასმინ უიტკინსმა ლატარიის გათამაშებაში ნახევარი მილიონი დოლარი მოიგო. მას შეეძლო, ან სიცოცხლის ბოლომდე წელიწადში 25 ათასი დოლარი მიეღო, ან – მთელი მოგება ერთიანად.

ქალმა ბილეთი თავის შეყვარებულს გადასცა, ვინაიდან მათ გადაწყვიტეს, რომ ერთად მისულიყვნენ ლატარიის გათამაშების ორგანიზაციაში და ერთად მიეღოთ მოგებული თანხა. თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ გოგონა შეეცადა, მთელი მოგება მიესაკუთრებინა, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არ ყოფილა შეთანხმება მის გაყოფაზე. ცნობილია, რომ მათ, უბრალოდ, ერთად შეიძინეს ყვავილების მაღაზიაში რამდენიმე ლატარიის ბილეთი.

ლატარიის გათამაშების ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი ამჟამად უიტკინსის პრეტენზიას განიხილავენ, რადგანაც იურიდიული კამათი მოგების უფლებაზე მართლაც არსებობს. ამ მომენტისთვის მოგებული თანხა გაცემული არ არის, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ მიუღია.

# სპილომ კანადელი დაასახიჩრა

კანადის ონტარიოს პროვინციის ქალაქ კემბრიჯის მახლობლად მდებარე ველური ბუნების პარკში სპილო თავს დაესხა მომთვინიერებელს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი ტელეარხი ავრცელებს.

პოლიციელებზე დაყრდნობით ტელეარხი აღნიშნავს, რომ დაშავებული 30 წლის მამაკაცი საავადმყოფოში საჰაერო ტრანსპორტის გამოყენებით გადაიყვანეს.

სასწრაფო დახმარების სამსახურის წარმომადგენელმა ტელეარხს განუცხადა, რომ მომთვინიერებელმა მძიმე დაზიანებები მიიღო. ინციდენტის სხვა დეტალები არ ხმაურდება.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

26 ივნისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.8333 | ევრო — 3.2260 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6147 | 100 რუსული რუბლი — 4.4436 |

## ამინდის პროგნოზი 26 ივნისისთვის

## „ახალი თაობა“

### წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

**25 ივნისიდან**

ჟიულ ვერნი

**20 000 ლიე წყალქვეშ**

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

**18 ივნისიდან**

ანე ფრანკი

**თავშესაფარი**

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

## ბარსელონამ სილესენი ვალენსიაში გაუშვა

ბარსელონამ სილესენი ვალენსიაში გაუშვა და მის სანაცვლოდ ვალენსიის მეკარე ნეტო დაიმატა. ამგვარად ამ ორმა გუნდმა მეკარეები გაცვალა.

სილესენი უკვე ვალენსიაში იმყოფება, სადაც მალე სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

იასპერ სილესენი ბარსელონაში აიაქსიდან გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება ვერ შეძლო და წლევანდელი სეზონის ბოლოს თქვა, რომ ბარსელონიდან წასვლას აპირებდა.

ბარსელონამ მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა.

## ნეიმარი ბარსელონას შეუთანხმდა. ახლა ჯერი პსჟ-ზეა

ბარსელონამ და ნეიმარმა სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწიეს. ბრაზილიელი დათანხმდა ხელფასის შემცირებას და, გარდა ამისა, მან სასამართლოდან სარჩელი გამოიტანა, რომელიც ბარსელონის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამრიგად, ცხადია, რომ ნეიმარს ბარსელონაში დაბრუნება სურს, მაგრამ პსჟ მის ტრანსფერში კვლავინდებურად 300 მილიონს ითხოვს და დათმობას არ აპირებს.

შეგახსენებთ, რომ 2017 წელს პსჟ-მ ნეიმარში 222 მილიონი ევრო გადაიხადა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი

მიხოს ეკითხებიან:

– რაში მდგომარეობს თქვენი დღეგრძელობის საიდუმლო?

– მაროს უნდა ვაჯობო...

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– რამდენი ფული მჭირდება! ეპილაციაზე, მანიკიურზე, პედიკიურზე, მელირებაზე, კოსმეტიკაზე...

– მე კი გამიმართლა! თავიდანვე სიმპათიური დავიბადე.

•••

კაცი ქალს ეკითხება:

– მართლა ორბავშვიანი მარტოხელა დედა ხარ?

– კი.

– და არ გინდა, რომ სამი ბავშვის მარტოხელა დედა გახდე?

•••

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, არ ვსვამ, არ ვეწევი, ქალებს არ დავდევ, აზარტული თამაშები არ მიტაცებს... და სწორად ვცხოვრობ?

– კი მაგრამ, რა ჩემ ფეხებად გინდა, მასეთი სიცოცხლე?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– იცი, რომ უმაღლესი განათლების პოპულარობა ეცემა?

– რა თქმა უნდა. მაგალითად, ჩემთან სამსახურში უმაღლესი განათლება მხოლოდ ყარაულსა და დამლაგებელს აქვთ.

•••

პატრული მანქანას აჩერებს და მძღოლს ეკითხება:

– დალიეთ?

– არა!

– რატომ? მოხდა რამე?

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ლამპარდი მალე ჩელსის მთავარი მწვრთნელი გახდება

ივლისის დასაწყისში ჩელსი ოფიციალურად გამოაცხადებს ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობას და ის, დიდი ალბათობით, ფრენკ ლამპარდი იქნება.

ლამპარდი ამჟამად დერბი ქაუნთის უდგას სათავეში და ჩელსი მასთან აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს.

ლამპარდი ჩელსის ლეგენდაა და, როგორც ფეხბურთელმა, მან ამ კლუბში 12 წელიწადი გაატარა, რომლის განმავლობაშიც რამდენიმეჯერ მოიგო ინგლისის ჩემპიონატი და ერთხელ – ჩემპიონთა ლიგა.

რამდენიმე კვირის წინ ჩელსი მწვრთნელის გარეშე დარჩა, როდესაც მაურისიო სარი იუვენტუსში გადაბარგდა.

## ვან დეიკი: „ლივერპული კიდევ უფრო გაძლიერდება“

ლივერპულის ცენტრალურმა მცველმა და ერთ-ერთმა ლიდერმა ვირჯილ ვან დეიკმა ლივერპულის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ მომავალ სეზონში ლივერპული კიდევ უფრო გაძლიერდება და ისევ ყველა ტურნირში გამარჯვებისთვის იბრძოლებს:

– ჩვენ სტაბილური შემადგენლობა გვყავს და ტრავმები თავიდან ავიცილეთ, მაშინ რამდენიმე წლის განმავლობაში ისევ ძლიერები ვიქნებით. მომავალ წელს ჩვენი პრიორიტეტი პრემიერლიგა იქნება, თუმცა არც ჩემპიონთა ლიგას დავივიწყებთ.

## ლეროი სანემ ბაიერნს უარი უთხრა



მანჩესტერ სიტის გერმანელმა ნახევარმცველმა ლეროი სანემ ბაიერნში გადასვლაზე უარი თქვა. მიუნხენელები რამდენიმე კვირის განმავლობაში ცდილობდნენ მანჩესტერ სიტისთან მოლაპარაკებას, მაგრამ თვითონ სანემ უარი თქვა, ამიტომ ტრანსფერი არ შედგება.

სანეს ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა მანჩესტერ სიტიში. ის ერთ-ერთი ლიდერია. ბაიერნი მზად იყო, სანეში 100 მილიონი ევრო გადაეხადა, რაც ამ გუნდისთვის უჩვეულოა, რადგან ბაიერნი ასეთ თანხებს ფეხბურთელებში არ ხარჯავს ხოლმე.

## ჯვოსვოხდი ა



**შვეულად**: 1. მესხების, გურულებისა და აჭარლების ძველებური ჩოხა; 2. მდინარე პრაღაში; 3. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფრანგი ავტომრბოლელი; 4. საკუთარი საქციელის ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა; 5. ლირიკული სიმღერა; 7. კაპიტნის თანაშემწე, უმცროსი მეთაური გემზე; 11. კასპიის ზღვის აუზის მდინარე საქართველოში; 12. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 13. ავსტრალიური სირაქლემა; 14. ფრანგული ბულდოგი; 15. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 17. ყველაზე მაღალი ჩანჩქერი მსოფლიოში; 19. საცხენოსნო შეჯიბრება.

**თარაზულად**: 5. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 6. ფიჭიანი თაფლი; 8. მამალი თხა; 9. სტანდარტული ფორმის კითხვარი ცოდნის შესამოწმებლად; 10. შტატი აშშ-ში; 11. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 13. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 14. ესპანური სპორტული გაზეთი; 16. მარდი, მამაცი მამაკაცის ძველებური სახელწოდება საქართველოში; 18. აეროპორტი პეკინში; 20. მარგალიტის ყელსაბამი; 21. სამწახნაგოვანი პირის მქონე იტალიური ხანჯალი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*


ჩან ჩან ვან + მა ინ ლონ

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ

ჯიან პი ვან

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი

ბეი ფუ დი ჰუანბ ვან + სუნ საო

აუმჯობესებს პოტენციას

ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/